

საბა
საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე
№ 10
ოქტომბერი
2006

პაპი გერმანიაში
სინოდის I სესია
მითვისებული ტაძრები
ახალგაზრდები უდესა და ვალეში
სული წმიდის ნიჭნი

რედაქციის გვერდი

მითვისებული ტაძრები

პირველი გამოსვლა, რომელიც საქართველოში კათოლიკე ეკლესიის სინოდის პირველ სესიაზე (2006 წლის 4-8 სექტემბერი, წეროვანი) გაკეთდა, კათოლიკური საკრებულოების ცხოვრებას და წირვის აღსასრულებელი ადგილების არარსებობის პრობლემას შეეხებოდა, ხოლო მეორე – ამჟამად ქართული მართლმადიდებლური საკრებულოების მიერ უკანონოდ მითვისებული კათოლიკური ეკლესიების დაბრუნებას. იმ დღის წამყვან თემასთან შედარებით, ორივე საკითხი უადგილოდაც შეიძლებოდა მოგჩვენებოდა, ვინაიდან საუბარი ეკლესიათა ერთიანობაზე უნდა გამართულიყო; სულ სხვა საკითხია, იყო თუ არა განსახილველი ორივე ეს პრობლემა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ამ ბოლო ხანებში, პრობლემათა მიჩუმათების მრავალი მცდელობის მიუხედავად, ქართველ კათოლიკე მორწმუნეებში კვლავაც აქტუალურია საკულტო ადგილების და კუთვნილი ეკლესიების დაბრუნების პრობლემა. გახსოვთ, ალბათ, თვით იესომ მოიძია ადგილი თავის მოწაფეებთან ახალი პასექის აღსანიშნავად და ადგილის გასამზადებლად რამდენიმე მათგანი წინასწარ გაგზავნა კიდეც. იგივე მოხდა სულთმოფენობის დღეზე სული წმიდის მოფენისას, რომელიც იმ ადგილზე აღესრულა, სადაც იესოს მოწაფეები მარიამთან და რამდენიმე დედაკაცთან ერთად ორმოცი დღის მანძილზე იკრიბებოდნენ; პირველქამინდელი ქრისტიანები ყოველთვის პოულობდნენ ღია ან ფარულ ადგილებს თავიანთი კატეხიზმობის, ლიტურგიისა და საერთო ცხოვრების მიზნით. მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ეკლესია არ იგივედებოდა ადგილთან; ადგილი, მათი ერთად შეკრება თვალნათლივ აჩვენებდა მათ ყოფა-ცხოვრებას, როგორც სამების სახელით შეკრებილი ეკლესიისა. დღეს თვალშისაცემია საქართველოში მრავალ ადგილზე თუ გზის პირზე აღმართული ეკლესიები; ეს უთუოდ რწმენის განახლებაზე, ეკლესიად ყოფნის სურვილზე მიანიშნებს. თბილისის უწმინდესი სამების ტაძარიც ამის ნათელი ნიმუშია. კომუნისტურ პერიოდში დახურული ეკლესიები კვლავ გაიხსნა და მართლმადიდებელ

ეკლესიებს გადაეცა. საკითხავია, რად არ ხდება იგივე საქართველოს კათოლიკეებისთვის? მართალია, რამდენიმე წელია, რაც აიგო რამდენიმე ახალი კათოლიკური ეკლესია, რასაც მავანთა “ყურადღება” არ მოკლებია, მაგრამ სხვა ეკლესიები, როგორცაა გორის, ახალციხის, ქუთაისის, მხოლოდ ნახაზის სახით დარჩნენ; სხვები კი დიდი წვალების შემდეგ როგორც იქნა იგება და არა უშუალოდ როგორც ეკლესიები, არამედ კათოლიკური საკრებულოს მრავალპროფილიანი ცენტრები, სადაც, ალბათ, გამოიძებნება სამლოცველო ადგილი. მართალია, თბილისში განახლდა და გაიხსნა მარიამის აღყვანების საკათედრო ეკლესია, მაგრამ ამით რა იმ ეკლესიებს, რომელთა დაბრუნებასაც სახელმწიფოდან და მართლმადიდებელი ეკლესიიდან ამ წლებში ვითხოვდით კანონიერ მფლობელთათვის – ქუთაისის, გორის, ივლიტის, უდეს კათოლიკეთათვის? მათ რიგებში არ მოვიხსენებ ბათუმის ეკლესიას, რადგანაც პრობლემას გადაჭრილად მიიჩნევდნენ, ვინაიდან ამ ქალაქში აიგო ახალი კათოლიკური ეკლესია! თუმცა სინამდვილეში ასე არ გახლდათ: სწორედ იმ დროს, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ პატივისცემის, სიყვარულისა და ნდობის სახელით შევაჩერეთ კათოლიკური ეკლესიების დაბრუნების მოთხოვნა, საქართველოში პირიქით მოხდა, დაიწყო კათოლიკე ეკლესიის მიმართ დამამაცირებელი პროპაგანდა და ამ ეკლესიების შესახებ ისტორიული სიმართლის გაყალბება, არა მხოლოდ დოკუმენტურად, არამედ სტრუქტურულადაც; ამის ნათელი მაგალითია გორის ეკლესია! რამდენი სიყალბე გამოიგონეს, თქვეს და დაწერეს ამ ხანებში ამ ეკლესიებზე, მაშინ როდესაც დიალოგის მეშვეობით სულ თავისუფლად შეიძლებოდა პრობლემის გონივრული და სამართლიანი გადაჭრა, მათი ისტორიული სიმართლის აღიარების გზით ისეთ თანხმობამდე მისვლა, რაც შესაძლებელს გახდიდა ერთი რომელიმე ეკლესიის გადმოცემას და სამართლიანობის ნიშნად დაბრუნებას; არა და არა! არა მხოლოდ არ დააბრუნეს, არა მხოლოდ აუკუღმართებენ ისტორიულ სინამდვილეს, არა მხოლოდ გამობენ საქართველოში და მსოფლიოში კათოლიკე ეკლესიის არსებობას, არამედ ძალებს არ ზოგავენ (ბუნებრივია ფარულად) შეაფერხონ ახლის აშენება. ამის მაგალითია, სწორედ ამ დღეების გახმაურებული ფაქტი თბილისის ასირიულ-ქალდეური კათოლიკური ცენტრის მშენებლობა, რაც უკვე წლებია მიმდინარეობს და სატელევიზიო ქრონიკაში იმ რამდენიმე ფანატიკოსი მართლმადიდებლის პროტესტის წყალობით მოხვდა, რომლებიც უსამართლოდ სდებენ ბრალს კათოლიკურ ეკლესიას პროზელიტიზმში, პროპაგანდაში, მოითხოვენ სამუშაოს შეჩერებას და დახურვას!.. ამ დროს გაიძახიან, რომ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში სადაც თავისუფლება, სამართალი, ტოლერანტობაა; სადაც ამბობენ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ყველა ეკლესიას სცემს პატივს და ყველასთან ცდილობს მშვიდობის დამყარებას; რამდენი სიყალბეა! იქნებ მართლმადიდებელ ეკლესიას, ყველგან რომ აგებს ტაძრებს, ზოგ შემთხვევაში თავისი მორწმუნეების თანხით და ზოგჯერ სრულიად უცნობი გზით მოპოვებული თანხით და ვინ იცის რა სახის კომერციის ნაყოფით, კათოლიკური ეკლესიები თავისი ღმრთისმსახურებისათვის

სჭირდება? ნამდვილად სჭირდება იელიტის პატარა ეკლესია, სადაც მღვდელმა უზრუნველად დაიკავა იგი და სხვა სოფლებიდან მოჰყავს მორწმუნეები წირვაზე დასასწრებად? ნამდვილად სჭირდება ქუთაისის კათოლიკური ეკლესია, როდესაც მის ირგვლივ საკმაოდ ბევრი იგება? როგორც მართლმადიდებელ ეკლესიას ესაჭიროება საკუთარი ლიტურგიული ცხოვრებისათვის ეკლესიები, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიებს უბრუნდება თავისი ადრინდელი ეკლესიები, ასევე სჭირდება კათოლიკე ეკლესიას საქართველოში ახალი ეკლესიები თავისი მორწმუნეებისთვის და ასევე უნდა დაუბრუნდეთ კუთვნილი, კომუნისტურ რეჟიმამდელი ეკლესიები და ქონება. ამბობენ, რომ პრობლემა გაცილებით რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს; მაგრამ ვინ უფრო ართულებს მას? ცხადია, არა საქართველოში მოქმედი კათოლიკე ეკლესია და მით უფრო ვატიკანის პოლიტიკა, ძალზე დამთმობად რომ ითვლება! ალბათ კავშირ-ურთიერთობა ორ ეკლესიას შორის მას შემდეგ უფრო გაუმჯობესდა, რაც დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა კავშირმა *სავარდი* აღარ ისურვა პროცესის გაგრძელება სტრასბურგში კუთვნილი ეკლესიის დაბრუნებაზე, მაშინ როცა მათემატიკური სიზუსტით სჯეროდა გამარჯვების? ამბობენ, რომ საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა და რომ ...მაშ, ყველა უცილობლად მართლმადიდებლები უნდა გავხდეთ? მაშ, მართლმადიდებლობის სახელით უნდა დავივიწყოთ სიმართლე, სამართალი? ამბობენ, რომ ეს ეკლესიები ამჟამად მართლმადიდებლურად იკურთხა, რომ მათში მრავალი ადამიანი მოინათლა, ჯვარი დაიწერა... მაგრამ განა ღმრთის მცნება "არ იპარო", ადამიანთა ტრადიციებზე ძლიერი არ არის?

რასაკვირველია, ეკლესიის ნაგებობა ნაკლებად მნიშვნელოვანია იმ რეალობაზე, რასაც წარმოადგენს იესო ქრისტეს ეკლესიის საიდუმლო და საქართველოში კათოლიკე ეკლესიას შეუძლია ეკლესიების დაუბრუნებლად იარსებოს (თუმცადა მწარედ მოტყუებული); შეუძლია თავი გადაირჩინოს გასაცოდავებული საკრებულოთი, რომლებიც სახლში შეკრებილნი ისმენენ ღმრთის სიტყვას, აღასრულებენ საიდუმლოებებს; შეუძლია გაძლიერდეს ქრისტიანული სიყვარულით მოყვასთა მიმართ, მაგრამ პრობლემა რჩება მათთვის, ვინც უსამართლობას სჩადის, ვინც ღიად ტაძრებს აგებს თავისთვის და არა სიყვარულის და მოციქულ პეტრეს მიერ გამოხატული რწმენის საძირკველზე, ვინც ყურად არ იღებს სახარების და ეკლესიის ტრადიციის მოთხოვნას. მართლაცდა რა სამწუხაროა, რომ ისევ და ისევ იძულებული ვარ ამგვარი წერილი დაეწერო, და ეს იმიტომ, რომ ვისაც მართებდა და ვისაც უნდა ელაპარაკა და ეწერა სიმართლე, ეს არ გააკეთა და დღესაც არ აკეთებს ამას შიშის, უსუსურობის, კომფორტის გამო! იმედს გამოვთქვამ, რომ ეს წერილი კიდევ ერთ მუხტს მისცემს საქართველოში მცხოვრებ კათოლიკებს, რათა კვლავ და კვლავ იკრიბებოდნენ კათოლიკე სამრევლოებად, ეკლესიაში, რომელიც შეინარჩუნეს, თუ სახლში, სადაც იძულებულნი არიან ეკლესიის არქონის გამო მივიდნენ, უერთგულონ რწმენას და ტრადიციას; ასევე ვიმედოვნებ, რომ მუხტი იქნება მათთვის, ვისაც უყვარს სამართალი, განურჩევლად იმისა რა რელიგიას, ეკლესიას და მრწამსს

ეკუთვნის, რათა გულგრილობა არ გამოიჩინონ ამ “პატარა” უსამართლობის მიმართ. მთელი გულით გვეიმედება, რომ ოქტომბრის თვის ადგილობრივი არჩევნები, – სადაც კათოლიკები ამქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეების სტატუსით მისცემენ ხმას, – უკანასკნელი ნაბიჯი იქნება სამართლიანობის გასაცხადებლად, განსაკუთრებით რეგიონალურ და ადგილობრივი მასშტაბით; ვიმედოვნებთ, რომ ახლახანს დაწყებული სასწავლო წელი გახდება იარაღი ყოველი ადამიანის მიმართ პატივისცემის და სამართლიანობის აღზრდის საკითხში, რათა მომავალში ადგილი აღარ ჰქონდეს დისკრიმინაციას მათ მიმართ, ვინც არ არის მართლმადიდებელი.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

რწმენა და გონება: პონტიფექსის ლექცია რეგენსბურგის უნივერსიტეტში

პონტიფექსის ვიზიტი ბავარიაში (9-14 სექტემბერი) მსოფლიოსთვის ერთ ჩვეულებრივ ვიზიტად დარჩებოდა, რომ არა პაპის უკვე ყველასათვის ცნობილი საჯარო ლექცია რეგენსბურგის უნივერსიტეტში სათაურით – **რწმენა, გონება, უნივერსიტეტი: მოგონებანი და განაზრებანი.**

მიუხედავად იმისა, რომ ამ მოხსენებისა თუ ლექციის ერთმა პასაჟმა ისლამურ ქვეყნებსა და დასავლურ ლიბერალურ პრესაში ვნებათა ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია, მრავალთათვის მაინც უცნობი დარჩა, თუ რა თქვა ისლამისა და მოჰამადის შესახებ ბენედიქტე XVI-მ. ამიტომაც, ჩვენც სწორედ ამ პასაჟის ციტირებით დავიწყებთ ჩვენს ყოველთვიურ მიმოხილვას.

თავისი მოხსენების დასაწყისში პაპმა 1959 წელი გაიხსენა, როცა მან პირველად, როგორც პროფესორმა, შეაბიჯა რეგენსბურგის უნივერსიტეტში და პირველი ლექცია წაიკითხა. ეს უნივერსიტეტი გამორჩეული იყო ორი საღმრთისმეტყველო – კათოლიკური და პროტესტანტული ფაკულტეტით. ამის შემდეგ პონტიფექსი შეეხო თეოლოგიის ადგილს თანამედროვე უნივერსიტეტში და რწმენისა და გონების ურთიერთმიმართების თემა წამოჭრა. ბენედიქტე XVI აღნიშნა, რომ “ის, რომ ღმერთის შესახებ საკითხი გონების საშუალებით უნდა დავსვათ, მთელი უნივერსიტეტის საერთო თვალსაზრისი იყო, რომელიც ეჭვს უმადლესი სკოლის არც ერთ წევრში არ იწვევდა.” ამას მოჰყვა შემდეგი პასაჟი:

“ყოველივე ეს ამას წინათ კიდევ ერთხელ წამომიტივტივდა, როცა თეოდორა ხურის მიერ გამოცემული ბიზანტიის იმპერატორ მანუილ II პალეოლოგოსისა და განათლებული სპარსის გასაუბრება (დიალოგი) წავიკითხე... მეშვიდე საუბარში იმპერატორი საღმრთო ომის თემას ეხება... ის საოცარი

უხეშობით (რაც, ცხადია, ჩვენს გაკვირვებას იწვევს) აღნიშნავს – “ბოლოსდაბოლოს, რა ისეთი სიახლე დაამკვიდრა მოჰამადმა, თუ არ ჩავთვლით ბოროტსა და არაადამიანურ საქმეებს, მაგალითად, ისეთს, როგორცაა მოწოდება მის მიერ ნაქადავები რწმენის ხმლით გავრცელებისა?” – ამგვარი უაპელაციო გამონათქვამის შემდეგ იმპერატორი იმის შესახებ მსჯელობს, თუ რატომ არის ძალადობის გამოყენებით რწმენის გავრცელება გონების საწინააღმდეგო მოქმედება. ძალადობა ღმრთისა და სულის ბუნებას ეწინააღმდეგება. “ღმერთი სისხლისღვრის წინააღმდეგია, – აღნიშნავს იმპერატორი, – და ის ვინც გონების გარეშე («syn logi») მოქმედებს, ღმრთის ბუნებას ეწინააღმდეგება. რწმენა სულის და არა ხორცის ნაყოფია. ვისაც ვინმეს რწმენად მიყვანა სურს, კარგად საუბარი და სწორად აზროვნება უნდა შეეძლოს და არა – ძალადობის ქმნა და მუქარა... იმისათვის, რათა გონიერი სული დავარწმუნოთ, სულაც არაა საჭირო ხელის, იარაღის ანა სხვა რამ იმგვარი საშუალების გამოყენება, რომლითაც ადამიანის მოკვდინება შეიძლება”. როგორც ვხედავთ, იმპერატორის მთავარი არგუმენტი ისაა, რომ გონების გარეშე ქმედება ღმრთის ბუნებას ეწინააღმდეგება. გამომცემელი თეოდორა ხური აღნიშნავს, რომ იმპერატორისათვის, რომელიც ბიზანტიელია და ბერძნულ ფილოსოფიაზეა აღზრდილი, ეს არგუმენტი თავისთავად ცხადი და ნათელია. მაშინ, როდესაც მუსლიმისათვის ღმერთი აბსოლუტურად ტრანსცენდენტურია. ღმრთის ნება არც ერთ ადამიანურ კატეგორიას არ უკავშირდება, როგორც ჩანს, მათ შორის არც – გონებასა და რაციონალობას. სწორედ ამგვარ კონტექსტში გამომცემელი თეოდორა ხური ცნობილი ფრანგი ორიენტალისტისა და ისლამის სპეციალისტის რ. არნალდესის კომენტარს მოიხმობს, რომელიც, თავის მხრივ, არაბი თეოლოგის იბნ ჰაზნის სიტყვებს ეყრდნობა. იბნ ჰაზნი ამბობს, რომ ღმერთი საკუთარ სიტყვაზეც კი მაღლაა, ის ტრანსცენდენტურია საკუთარ სიტყვის მიმართაც კი.”

მიუხედავად იმისა, რომ ციტატა გაგვიგრძელდა, ჩვენი აზრით, კარგად გამოჩნდა, რომ მანუილ პალეოლოგისეული და პონტიფიქსის დამოკიდებულება ისლამისადმი რამდენამდე განსხვავებულია. პაპი არ იზიარებს იმ უხეშობასა და სიმკაცრეს, რომლითაც იმპერატორი ისლამსა და მოჰამადზე საუბრობს. თუმცა, რა თქმა უნდა, იზიარებს იმპერატორის ძირითად არგუმენტს, რომ ისლამური თეოლოგიის ერთი მთავარი ტენდენცია ღმრთის აბსოლუტური ტრანსცენდენტურობა და ადამიანის გონებისათვის მისი სრული მიუწვდომლობაა. თუმცა, უწმიდესი მამა ყურანის ერთ ადრეული სურასაც აცტირებს, სადაც მოჰამადი ამბობს, რომ რწმენის საკითხში იძულება დაუშვებელია. ბენედიქტე XVI-სათვის ესაა ნიშანი იმისა, რომ ისლამი სხვა ტენდენციასაც შეიცავს, რომელიც რაციონალობისა და გონების საწინააღმდეგო არაა.

კომენტატორთა მოსაზრებები პაპის ლექციაზე დიამეტრულად განსხვავებულია. ერთნი (ძირითადად კათოლიკენი – მაგალითად, ავსტრალიის არქიეპისკოპოსი პელი) აღნიშნავენ, რომ ისლამური სამყაროს რეაქცია მანუილ II-ის სიტყვების ჭეშმარიტებას ამტკიცებს. მეორენი (უფრო ფრთხილნი) მიიჩნევენ, რომ ერთმანეთისაგან მკაცრად უნდა გაემიჯნოთ პაპის მოსაზრება და ციტატი XIV საუკუნის ბიზანტიური ტრაქტატიდან, რაც, რა თქმა უნდა, თავისთავად, სწორია. მესამე პოზიცია აშკარად კაპიტულანტურია. ამ თვალსაზრისის თანახმად (სამწუხაროდ, მოცემულ პოზიციას ზოგი კათოლიკეც იზიარებს), პონტიფექსს უნდა გაეთვალისწინებინა ის რეაქცია, რომელიც ამ ციტატას მოჰყვებოდა – არ შეიძლება მუსლიმთა გაღიზიანება ისედაც დაძაბულ ვითარებაში. მითუმეტეს, როცა ბევრი ქრისტიანი (როგორც კათოლიკე, ისე სხვა კონფესიების წარმომადგენელი) მუსლიმურ ქვეყნებში ცხოვრობს, სადაც მათი რელიგიური უფლებები, რბილად რომ ვთქვათ, დაცული ნამდვილად არ არის.

ამ მესამე პოზიციის წისკვილს ისიც ასხამს წყალს, რომ 16 სექტემბერს სომალიში პაპის ლექციის საპასუხოდ ფუნდამენტალისტებმა 70 წლის მონაზონი ლეონელა სგორბატი ხუთი ტყვიის გასროლით მოკლეს. მონაზონმა სიკვდილის წინ თავის მკვლევებს ცოდვა შეუწოდო, რაც მრავალთათვის მისი მოწამეობრივი აღსასრულის, ხოლო ეკლესიისათვის ბეატიფიკაციის პროცესის აღძვრის ნიშანია. მაგრამ კაპიტულანტური პოზიციის თანახმად, ყველას წმინდანობას ვერ მოვთხოვთ, ხოლო ქრისტიანული მოსახლეობა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში ისლამური ტერორის აშკარა საფრთხის წინაშეა.

ამ არგუმენტებს შესანიშნავად უპასუხა რომის უნივერსიტეტის თანამედროვე ისტორიის დეპარტამენტის პროფესორმა ლუჩეტა სკარაფიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ “ყველაზე საშიში ის პოზიციაა, რომლის თანახმადაც, პაპმა ბოდიში უნდა მოიხადოს იმ სიტყვების გამო, რომლებიც მას არ უთქვამს, რადგანაც, სხვა შემთხვევაში, ისლამურ ქვეყნებში მცხოვრებ ქრისტიანთა (და არა ოდენ მათ) სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. ამგვარი პოზიცია არა ოდენ შეურაცხყოფს პაპის ღირსებას, არამედ პაპს სიტყვისა და თავისუფალი აზრის გამოთქმის საშუალებას ართმევს. ესაა ყველაზე უფრო სერიოზული რამ, რაც დასავლეთისა და ისლამური ფუნდამენტალიზმის თანამედროვე დაპირისპირებამ გამოიწვია – შიშის გამო აღამიანს ვართმევთ სიტყვისა და აზროვნების თავისუფლებას”.

დაბოლოს, ჩვენი მხრივ, უნდა შევნიშნოთ, რომ უმაღლესი პონტიფექსის ლექციის უდიდესი ნაწილი თანამედროვე დასავლური რაციონალიზმის კრიტიკას შეიცავდა. ბენედიქტე XVI-მ აღნიშნა, რომ რწმენისა და გონების, ბიბლიური ტრადიციისა და ბერძნული ფილოსოფიის კავშირი არა მხოლოდ არაშემთხვევითია, არამედ, რომ ეს კავშირი სახარებისეული უწყების შემადგენელი ნაწილია. იოანეს

სახარება გვეუბნება, რომ “დასაბამში იყო ლოგოსი (სიტყვა)”. მაგრამ ლოგოსი ბერძნულად ნიშნავს არა მარტო სიტყვას, არამედ გონებასა და აზროვნებას. პონტიფექსმა აღნიშნა, რომ თანამედროვე დასავლეთმა ბერძნული რაციონალიზმის უარყოფისა და “დეელინიზაციის” სამი ეტაპი გაიარა: პირველი – XVI საუკუნის პროტესტანტიზმი იყო, რომელიც წმიდა მამების თეოლოგიასა და ეკლესიის ტრადიციას დაუპირსპირდა; მეორე ეტაპი – XIX საუკუნის პროტესტანტული თეოლოგია და ექსეგეზაა, რომელმაც, ადოლფ ფონ ჰარნაკის სახით, ბერძნული ტრადიცია ქრისტიანობის არაორგანულ ნაწილად მიიჩნია; ხოლო მესამე ეტაპი დადგა ახლა, როცა უახლესი დასავლური აზროვნება უარყოფს ბერძნული ფილოსოფიისა და პლატონურ-არსიტოტელური აზრის უნივერსალურობას და საყოველთაო რელეტივიზმს ქადაგებს. თანამედროვე დასავლური რაციონალიზმი, რომელიც ღმერთს სამყაროდან აძევებს, ამავე დროს, საკუთარ ბერძნულ ფესვებსაც უარყოფს – და, ამდენად, სრულიად პარადოქსულად (მაგრამ ლოგიკურად) უარყოფს გონებასა და რაციონალიზმს.

მაშასადამე, ერთი მხრივ გვაქვს რწმენა, რომელიც გონების მიღმაა, ხოლო, მეორე მხრივ, – გონება, რომელიც უარს უებნება როგორც ღმერთსა და რწმენას, ისე საკუთარი რაციონალურობის საფუძველს. სწორედ ესაა ყბადაღებული “კულტურათა ომი” – ირაციონალური რწმენა “რაციონალური” და რელატივისტური “გონების” წინააღმდეგ. არადა, ფაქტობრივად, ესაა ერთი მედლის ორი მხარე.

წმიდა მამამ თავისი ლექცია რეგენსბურგის უნივერსიტეტში ამგვარად დაასრულა: *“გონების საწინააღმდეგო მოქმედება – მოქმედება ლოგოსის გარეშე – ღმერთის ბუნებას ეწინააღმდეგება, – უთხრა თავის სპარს თანამოსაუბრეს მანუილ II-მ, რომელიც ღმერთის საკუთარ ქრისტიანულ ხატს ითვალისწინებდა. სწორედ ამ დიადი ლოგოსისაკენ, გონების ამ სიფართოვისაკენ მოვუწოდებთ ჩვენ კულტურათა დიალოგში ჩართულ ჩვენს თანამოსაუბრეებს. თავიდან და თავიდან ვიპოვოთ და აღმოვაჩინოთ ეს ლოგოსი ჩვენ თვითონ – აი, ესაა უნივერსიტეტის დიადი ამოცანა და მიზანი”.*

იაკობ ღუმბაძე

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

სინოდი

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის პირველი სინოდი

4 სექტემბერს წმიდა მარიამ ღმრთისმშობლის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში გაიხსნა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის სინოდის პირველი სესია, რომელიც 8 სექტემბერს ვალეში, წმიდა წირვის დროს დაიხურა. ეს პერიოდი მეტად დატვირთული, ღრმა და შესანიშნავი დრო იყო კათოლიკე ეკლესიისთვის. როგორ შემდეგ, ერთ-ერთ მოხსენებაში, მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ აღნიშნა, ეს იყო საქართველოში კათოლიკე ეკლესიის 10 წლის მოღვაწეობის შედეგი.

სინოდის გახსნას ესწრებოდნენ დელეგატები სხვადასხვა საკრებულოებიდან და საქართველოში მოღვაწე ყველა კათოლიკე მღვდელმსახური და სამონაზვნო ორდენების წარმომადგენლები.

სინოდის გახსნისადმი მიძღვნილ წმიდა წირვას უძღვებოდა ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, სამღვდლო დასთან ერთად. ეკლესიაში მეტად ამაღელვებელი და სადღესასწაულო განწყობა სუფევდა, ზედმეტი არ იქნება თუ აღვნიშნავ, რომ თვალზე ცრემლმომდგარი სინოდისა და მრევლის წევრები, რაღაც ახლის, არაჩვეულებრივის მოლოდინში გაირინდნენ, როდესაც დადგა დრო ბიბლიაზე ფიცის დადებისა. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ისიც ქმნიდა, რომ ფიცი ძველ ქართულ ბიბლიაზე უნდა დაედოთ. ისმოდა ქართული და ასირიული გალობების გულშიჩამწვდომი ჰანგები.

წმიდა წირვაზე ქადაგება ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ წაიკითხა, რომელსაც ამავე ნომერში გთავაზობთ. „საბას“ მკითხველი აქვე გაეცნობა წმიდა საყდრის სამოციქულო დესპანის, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის მისაღმებას, რომელიც სინოდის გახსნის დღეს იქნა წაკითხული.

წმიდა წირვის დასრულების შემდეგ სინოდის ყველა წევრი წეროვანში გაეშურა, სადაც პირველი შეხვედრა გაიმართა.

სინოდის სამივე დღე შინაარსიანი და დატვირთული იყო: ყოველი დღე იწყებოდა დილის ლოცვებით, რომელსაც მორიგეობით უძღვებოდნენ: მამა გაბრიელე ბრაგანტინი, მონაზონი ანა მარია კრიველარი და „კარიტასის“ წარმომადგენელი ქალბატონი ნაზი კვარჩია (პირველი დღე), რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები (მეორე დღე) და ბერ-მონაზვნები და სემინარისტები (მესამე დღე). სადამოობით კი იმართებოდა წირვა, რომლის დროსაც ქადაგებებსაც წარმოთქვამდნენ მღვდელმსახურები. წირვის დროს ხელისხელჩაკიდებული სინოდის წევრებისა და მღვდელმსახურების მიერ ერთად წარმოთქმული „მამაო ჩვენო“, ალბათ ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ოცნების განხორციელებას წარმოადგენდა, რაც 7 სექტემბრის საღამოს, დასკვნით შეხვედრაზე, შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

„მე მწამდა, რომ თუ მთელი ეკლესია აქ იქნებოდა ნამდვილი სულთმოფენობა იქნებოდა ეკლესიაზე. ვხედავ, რომ აქ ყოფნამ ყველანი შეგცვალათ, შეიცვალა ურთიერთობა ერთმანეთს შორის, მღვდლებსა და თქვენს შორის. მინდა ყველას მადლობა გითხათ, თქვენ ყველანი ძალიან კარგები იყავით. ეს იყო პირველი გამოცდილება და შეგვიძლია ერთმანეთს სხვანაირად შევხედოთ. მადლობა მღვდლებს, რომლებმაც მიატოვეს თავიანთი საკრებულოები, სადაც ალბათ, ძალიან ბევრი საქმე ჰქონდათ, მაგრამ ეს საქმე უპირველესია.

აქ გამოჩნდა ჩვენი ეკლესიის ღამაზი სურათი. ამ სინოდში იყო მოთმინება და სიმტკიცე და ეს იყო სულიწმიდის მადლი“.

სინოდის წევრები ოთხ ჯგუფად დაიყვნენ, რათა განსახილველი თემები სხდომების შემდეგ უფრო საფუძვლიანად და დაწვრილებით განეხილათ და შესაბამისი გადაწყვეტილებებიც მიეღოთ, რომლებიც სინოდის მეორე სესიაზე იქნება წარდგენილი ხორცშესასხმელად. თითოეულ ჯგუფს თავისი კოორდინატორი და მდივანი ჰყავდა, რომლებიც, ანგარიშს პრეზიდიუმს აბარებდნენ.

აირჩა სხდომების წამყვანები: მამა გაბრიელე ბრაგანტინი, მამა ზურაბ კაკაჩიშვილი, ანუელიკა მელიქ-მარუტოვა და ვაჟა ვარდიძე. დაკომპლექტდა თარჯიმანთა შემადგენლობაც: მ. აკაკი ჭელიძე, ანუელიკა მელიქ-მარუტოვა და გიული ჩაჩანიძე; დამტკიცდა პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: სინოდის თავმჯდომარე, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, წამყვანები და მამა აკაკი ჭელიძე. სინოდის მუშაობას დეტალურად აღნუსხავდა სამდივნო ციცინო ხითარიშვილის, ნინა აივაზოვასა და აკაკი ჭელიძის შემადგენლობით, რომლებიც სინოდის კომისიის სხდომებსაც ერთგულად ემსახურებოდნენ.

სესიაზე განსახილველი თემები ისე განაწილდა, რომ თითოეულ თემას თითო დღე დაეთმო. მთავარი მოხსენების შემდეგ იმართებოდა დისკუსიები, რომელშიც ბევრი დელეგატი იღებდა მონაწილეობას.

სინოდის მეორე დღეს უჩვენეს ფილმი, რომელსაც იღებს სამაუწყებლო კომპანია „საზოგადოებრივი არხი“. ფილმში მოთხრობილია საქართველოში კათოლიკობის გავრცელების შესახებ, ნაჩვენებია აქ მოღვაწე მისიონერები და მათი დამსახურება საქართველოს წინაშე და მრავალი სხვა ფაქტი. უნდა ითქვას, რომ ფილმი ჯერ კიდევ გადამუშავების პროცესშია და სინოდის წევრებს სწორედ განსჯისა და შენიშვნებისათვის წარედგინათ.

პირველ სხდომაზე განსახილველი თემა იყო ეკლესიის ერთიანობა, მთავარი მომხსენებელი – მამა იეჟი, რომელმაც ღრმად და საფუძვლიანად გააშუქა მიმდინარე საკითხი. მან ძველი აღთქმიდანაც მოიყვანა მაგალითი, რაც არღვევს ერთიანობას:

„...ერთ-ერთი ნიშანი, რომელიც არღვევს ერთიანობას არის ბაბილონის გოდლის აშენება. რისთვის აშენებს ხალხი ამ გოდოლს? ამას თავისი ინტერესი აქვს. ჩანს, რომ ადამიანს სურს ღმერთის გარეშე ცხოვრება და რას აღწევს? ერთიანობის დანგრევას. საღმრთო წერილი გვეუბნება, რომ ამ გოდლის დანგრევასას ხალხი იწყებს სხვადასხვა ენაზე საუბარს. და ამას თავისი მნიშვნელობა გააჩნია. ეს სხვადასხვა ენა არის რეალობა, ისინი ლაპარაკობენ, მაგრამ ერთმანეთის არ ესმით. ჩვენს შორისაც ხდება ასეთი რამ, ჩვენ ვლაპარაკობთ სხვადასხვა ენაზე, ამიტომ არ გვესმის ერთმანეთისა. ძველი აღთქმა გვიჩვენებს, რომ აღთქმა, რომელსაც ღმერთი დებს თავის ხალხთან ერთიანობის ნიშანია. ეს აღთქმა იმისთვისაა, რომ ადამიანი იყოს ღმერთთან და მოყვასთან ერთიანობაში. ბიბლიაში არის ძალიან ბევრი ადგილი, სადაც ლაპარაკია ერთიანობაზე, ხალხთან ერთიანობაზე...“.

მეორე თემის – ფორმაციის შესახებ ისაუბრა მამა პიერ დიუმულენმა. მან ხაზგასმით აღნიშნა ფორმაციის როლი როგორც სასულიერო, ისე საერო პირებთან მიმართებაში. დისკუსიაში გამომსვლელებიც, აღნიშნავდნენ ფორმაციის აუცილებლობას, როგორც ბავშვებში, ისე ახალგაზრდებსა და მოზრდილებში, განსაკუთრებით კი მოითხოვდნენ თავად კატეხისტების ფორმაციას.

ახალგაზრდული საბჭოს წარმომადგენელი, თეონა ტატალაშვილი მიიჩნევს, რომ, “...ფორმაციაში მუდმივი ზრდა ახალგაზრდების ეკლესიაში შენარჩუნების ერთადერთი შანსია, რადგანაც ისინი ყოველთვის სიახლეს ეძებენ... ახალგაზრდებს იზიდავს შეხვედრები. მით უმეტეს, რომ ჩვენ გვყავს საუკეთესო პროფესორები, რომლებიც ახალგაზრდებს საინტერესო და საჭირო ინფორმაციას მიაწვდიან. საჭიროა ამგვარი შეხვედრები დაიგეგმოს ყველა საკრებულოში და მას მიეცეს სისტემატური ხასიათი. კარგი იქნება, თუ ამგვარ ლექციებს კათოლიკეებთან ერთად მართლმადიდებელი ახალგაზრდებიც დაესწრებიან. არ არის აუცილებელი ეს ლექციები მხოლოდ რელიგიურ თემებზე ჩატარდეს. უნდა მოეწიოს ახალი წიგნების პრეზენტაციები და მივუთითოთ მათ, სად ნახონ ეს წიგნები, რომ დაინტერესდნენ და თავად გაეცნონ საჭირო ლიტერატურას...”.

მესამე დღე დაეთმო თემას – საეროთა როლი ეკლესიაში. ამ თემაზე ორი საერო მომხსენებელი იყო წარმოდგენილი: ქალბატონი ინგა ილურიძე და ბატონი მერაბ ღაღანიძე. ბატონი მერაბის აზრით: „...როცა საეროთა როლზე, დანიშნულებაზე, მისიაზე ვლაპარაკობთ, აქ აუცილებლად უნდა გამოვეყოთ ორი მიმართულება: ერთია – თუ რა როლს თამაშობენ საერონი ეკლესიის ყოველდღიურ მსახურებაში, ხოლო მეორე – რა როლს თამაშობენ საერო ქრისტიანები, კათოლიკეები, ეკლესიის შვილები საზოგადოებაში; როგორ წარმოდგენენ ისინი თავიანთ სარწმუნოებას და სარწმუნოებრივ ცხოვრებას საჯაროდ. თუ ამ უკანასკნელით დავიწყებთ, საეროებს განსაკუთრებული როლი და დანიშნულება ეკისრებათ, რათა მათ თავიანთი ცხოვრების წესით, არჩევანით, ცხოველი სარწმუნოებით, იესოს ერთგულებითა და ეკლესიის მოძღვრების აღსრულებით ამ ქვეყნად დაადასტურონ სახარების უწყება. განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კათოლიკე საეროთა ცხოვრების ეს მხარე საქართველოში, სადაც ისტორიულად საუკუნეების განმავლობაში აშკარა და შესამჩნევი იყო კათოლიკეთა მყოფობა საზოგადოებრივ სივრცეში, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით დღევანდელ მდგომარეობაზე, როცა კათოლიკენი თითქოსდა გაუჩინარდნენ და ქვეყნის საჯარო, სამრეწველო, საგანმანათლებლო, კულტურულ თუ სამეცნიერო სფეროებში კათოლიკეთა როლი თითქმის ნულოვანია. ამ მხრივ საქართველოს საკრებულოებს ბევრი აქვთ საზრუნავი და გასაკეთებელი...”.

ორივე მომხსენებელმა საინტერესოდ ისაუბრა და მრავალი სადისკუსიო საკითხიც წამოჭრა.

7 სექტემბერს სინოდის სხდომას დაესწრო მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, რომელიც მიესალმა სინოდის წევრებს და დაუმატა, – „მინდა გითხრათ, რომ სინოდი ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს ეკლესიისთვის, რადგანაც ის გამოხატავს ჩვენს თვითმყოფადობას და კვლავ ყოფნის სურვილს. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სინოდი სული წმიდის მოვლენაა, ჩვენ კი სული წმიდის იარაღი ვართ.“

დარწმუნებელი ვარ, რომ ამ დღეებში განიხილება კონკრეტული საკითხები. ჩვენ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს როგორ განვახორციელოთ ცხოვრებაში სული წმიდის ძალა. სინოდი უნდა იყოს ჩვენი სათქმელის და ჩვენი კათოლიკობის გამოხატვის შესაძლებლობა, რათა შემდეგ არავის ჰქონდეს მიზეზი სხვაგან ისაუბროს თავის პრობლემებზე. სათქმელი უნდა ითქვას აქ, სადაც ეკლესია თავის მთლიანობაშია შეკრებილი. ყველაფერი უნდა ითქვას გულწრფელად, არასასიამოვნოც კი, რადგან აქ სიყვარულის ადგილია და

ყველაფერი ღმრთის სიყვარულით აღესრულება. როცა სხვაგან არასასიამოვნო ამბებზე საუბრობენ, ეს მხოლოდ დროის დაკარგავაა და სხვა არაფერი, ამიტომ გამხნევდით მთელი ძალებით უფალში“.

7 სექტემბრის შემაჯამებელ შეხვედრაზე მიიღეს მიმართვა საკრებულოებისადმი.

8 სექტემბერს სინოდის წევრები ვალეში გაემგზავრნენ, რათა სამხრეთ საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხეში იქაურ კათოლიკეებთან ერთად ეზეიმოდ წმიდა მარიამ ღმრთისმშობლის შობის დღესასწაული და გამოეცხადებინათ სინოდი პირველი სესიის დახურვის შესახებ.

წერილი ეპისკოპოსის სიტყვებით მინდა დავასრულო, რომელიც მან ვალეში წმიდა წირვაზე ქადაგების დროს წარმოთქვა:

„ძვირფასო ვალელებო, დღეს დიდი და მნიშვნელოვანი დღეა თქვენი სოფლისათვის, ეს იქიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ ზეიმობენ ამ დღესასწაულს თქვენთან ერთად სხვადასხვა საკრებულოების წარმომადგენლები, დღეს თქვენთან არიან სინოდის წევრები და საქართველოში მოღვაწე ყველა კათოლიკე მღვდელმსახური. დღეს თქვენს საკრებულოში მოხდება სინოდის პირველი სესიის დახურვა. სინოდი ეკლესიის ერთიანობის დიდი ნიშანია, ამიტომაც ვართ ყველანი აქ მოხმობილნი სული წმიდის მიერ.

რატომ ჩამოვედით მაინცდამაინც აქ, სამხრეთ საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში? იმიტომ რომ, თქვენი ეკლესია მარიამ ღმრთისმშობლის სახელობისაა და მარიამის შობის ერთად აღნიშვნა კათოლიკე ეკლესიის ერთიანობის ნიშანიცაა“.

ციცინო ხითარიშვილი
სინოდის მდივანი

სინოდის წერილი კათოლიკურ საკრებულოებს

2006 წლის 4-8 სექტემბერს ჩვენ, წეროვანში შეკრებილმა სინოდის წევრებმა, საერთო ღოცვების, მთავარი თემების პრეზენტაციებისა და განხილვების, კამათისა და რეპლიკების, ასევე, სამუშაო ჯგუფებში საკითხების დამუშავებისა და შეჯამებისას ჩამოყვალიბდით სინოდის სამი მთავარი თემის ირგვლივ:

1. ეკლესიის ერთიანობა,
2. ფორმაცია,
3. საერთო როლი ეკლესიაში.

სინოდის სხდომებზე შევძელით ბევრი პოზიტიური საკითხის წამოწევა და გამოვლენა. ამავე დროს შევეხეთ საქართველოში კათოლიკე ეკლესიების რთულ და მრავალმხრივ მტკივნეულ საკითხებს.

სინოდის სხდომები მიმდინარეობდა გულწრფელობის, პირდაპირობის, ჩვენი ეკლესიის მომავალზე და მრევლზე ზრუნვის ატმოსფეროში. სესიის განმავლობაში დასახელებული თემების ირგვლივ ჩვენი მუშაობისა და განსჯის შედეგი წარმოვადგინეთ თეზისების, წინადადებებისა და დეკრეტების სახით, რომელთა შეჯამება მოხდება სინოდის მეორე სესიაზე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ნაყოფიერ მუშაობაში თქვენი მხურვალე ღოცვებიც დაგვეხმარა.

იმისათვის, რომ ჩვენი მუშაობის შედეგი სულიწმიდის მადლით იყოს აღბეჭდილი, გთხოვთ შემდგომ მხარდაჭერას გულმხურვალე ღოცვებით, რათა

სინოდის წევრებმა წარმატებით გაართვან თავი მათზე დაკისრებულ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

სინოდის წევრები

გთავაზობთ ქადაგებას, რომელიც ეპისკოპოსმა წარმოთქვა წმიდა წირვაზე.

სინოდის წევრო ძვირფასო ძმებო და დებო,

შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი პირველი სინოდის გახსნისადმი მიძღვნილ ამ ლიტურგიას დიდი დეღვით აღვასრულებ და ამის მიზეზი ჩვენი ეკლესიისათვის სინოდის მნიშვნელობაა, რაც ამ მოსამზადებელ პერიოდში, სინოდის კომისიის დახმარებით, კიდევ უფრო ღრმად განვიცადე და შევიგრძენი. მეტიც, საეპარქიო სინოდის მნიშვნელობისა და მშვენიერების სიმძაფრემ ჩემში ერთგვარი აღტაცების შიშიც კი აღძრა.

სინოდი განსაკუთრებულ შესაძლებლობას გვაძლევს, ერთად შევიკრიბოთ იმ პასუხისმგებლობის განსახორციელებლად, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს ეკისრება ქრისტეს სხეულის ასაშენებლად. სინოდში ეპისკოპოსის პასუხისმგებლობაში სხვებიც თანამონაწილეობენ, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი ეკლესია ვართ. მაშასადამე, სინოდი უმნიშვნელოვანესი მომენტი ეკლესიის ცხოვრებაში, მეტიც, ის საქართველოში ჩვენს ეკლესიაში ერთიანობის ყველაზე ღირსშესანიშნავი გამოხატულებაა.

თქვენ, საკრებულოების მიერ არჩეულ საეროებს, ბერებს, ღმრთისმსახურებს და მე – ჩვენ ყველას – ღმერთი ერთად ყოფნის განსაკუთრებული გამოცდილების განსაცდელად მოგვიხმობს. უფრო ზუსტად, ეს არის მოხმობა, „ვიართ ერთად“ ჩვენი ნათლობის სიხარულისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით. როდის გვქონია სხვა შესაძლებლობა, ესოდენ ღრმად და სრულად განგვეცადა ყველას ერთად, რომ ჩვენ ეკლესია ვართ? აცნობიერებთ ამ მოხმობას? თუ სადმე გულის სიღრმეში, შეიძლება ძალიან ღრმა, დაფარულ კუნჭულში, ბუდობს აზრი, რომ... ამას აზრი მაინც არ ექნება, რომ ერთად ყოფნის ეს დრო სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისთვის მოკლებული დროა... რომ მონაწილეობა იმიტომ უნდა მივიღო, ეპისკოპოსს რომ არ ვაწყენინო?

ძვირფასო ძმებო და დებო, იგრძენით, რომ ღმერთის მიერ ხართ მოხმობილნი, მადლობა შესწირეთ მას თქვენთვის მონიჭებული ამ ნდობისთვის, იკისრეთ პასუხისმგებლობა მისი და თქვენი ძმების წინაშე ყოველ წუთზე, რომელსაც ერთად გავატარებთ, შესთხოვეთ ღმერთს დახმარება, რათა ყველაფერი, რის გაკეთებასაც შევძლებთ, კარგად გავაკეთოთ.

როგორ უნდა დავიწყოთ სინოდის ეს შეკრება?

წმ. პავლეს წერილში ღმრთის სიტყვა მკაფიო მითითებებს გვაძლევს:

ერთად შესაკრებად „მოწყალებით, სახიერებით, თავმდაბლობით, სიმშვიდით და მოთმინებით უნდა შეიმოსოთ“ (კოლ.13.12).

მოწყალებით უნდა შევიმოსოთ, რათა არავის მსაჯულად არ ვიგრძნოთ თავი.

სახიერებით უნდა შევიმოსოთ, რათა სხვათა სიკეთეზე ვიზრუნოთ.

თავმდაბლობით უნდა შევიმოსოთ, რათა გულით ვუსმინოთ ჩვენს გვერდით მდგომს.

სიმშვიდით უნდა შევიმოსოთ, რათა ერთიანობის დამყარება შევძლოთ.

მოთმინებით უნდა შევიმოსოთ, რათა მომავალს ღმერთის თვალებით ვუმზიროთ.

ძვირფასო ძმებო და დებო, თუკი ამ გრძნობებით განვიმსჭვალებით, სიყვარულით ცხოვრებას შევძლებთ.

იოანე პავლე მეორე „Novo millennio ineunte“-ში წერს: „თუ სიყვარული დაგვაკლდება, ყველაფერი დანარჩენი ფუჭი იქნება“ (42). ჩვენს შემთხვევაში, ასე თუ მოხდა, სინოდის უეჭველად ფუჭად ჩაივლის!

სხდომებზე, ჯგუფებში, ლიტურგიაზე ჩვენი ერთად შეკრება სიყვარულით თუ არ შეიმოსა, დაცალკევებას თუ ერთიანობა არ შეცვლის, ინდივიდუალიზმს – ურთიერთობა, უნდობლობასა და ეჭვს კი – გაზიარება და ძმობა, თუკი ვერ შევძლებ, ჩემს გვერდით მდგომ ძმასა და დაში ამოვიცნო „ის, ვინც მეკუთვნის“, მაშინ ყველაფერი ამო იქნება, ვერ ვიხილავთ ნათელს, ბნელი იმეფებს, გული არ იფეთქებს, გამოკეტილები დავრჩებით...

ეს სულთმოფენობის დღე არ იქნება!

აქ, უკვე ამ წმინდა წირვაზევე მოვიხმობთ სული წმიდას. ის გვიკარნახებს, თუ რა უნდა გავაკეთოთ და ისვე მოგვცემს ძალას და გზნებას ამის გასაკეთებლად. სინოდისთვის ღოცვაში მუდამ ძალას და მოთმინებას ვითხოვდით. სახარება გვახსენებს, რომ მღოვრის მარცვლისა და დადუღებული საფუარის ძალა არ ჩანს, მაგრამ ეს ძალა აქ არის და უდიდესია. სული წმიდა ის ძალაა, რომელიც ყოველივეს განაახლებს და აძლიერებს. ამის უნდა გვჯეროდეს და ეს შეგვაძლებინებს, დავიწყოთ ჩვენი სინოდი უდიდესი, უზარმაზარი რწმენით.

ძვირფასო ძმებო და დებო, საქართველოს ყველა საკრებულო ჩვენთან, ჩვენს გულში იქნება, რადგანაც ისინი ჩვენი უძვირფასესი სინამდვილეა, მათი ღოცვის თანხლებას ვიგრძნობთ.

მადლობას გიხდით თქვენი მზადყოფნისთვის, ემსახურეთ ეკლესიას. სიყვარულით ემსახურეთ მას!

ნება მიბოძეთ, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო სინოდის კომისიას და სამდივნოს იმ ხანგრძლივი გზისთვის, რომელიც ყველა ჩვენგანის სამსახურში გამოიარა.

გულწრფელად მადლობელი ვარ ასევე ყველასი, ვინც სხვადასხვაგვარად შეიტანა საკუთარი წვლილი ამ სინოდის მომზადებაში.

მარიამ, ეკლესიის დედაო, ილოცე ჩვენთვის.

ამიერკავკასიაში წმიდა საყდრის სამოციქულო დესპანის, მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის მისალმება სინოდის მონაწილეებისადმი

(წაკითხული სინოდის გახსნაზე)

თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ,

მადლობას მოგახსენებთ სინოდის გახსნასთან დაკავშირებულ მსახურებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევისათვის. სამწუხაროდ, სწორედ იმ დროს სომხეთში ვიქნები. მაგრამ, იქედან დაბრუნებული აუცილებლად დავესწრები თქვენს სამუშაო სხდომას.

თქვენის მეშვეობით, მსურს მივესალმო და ჩემი პატივისცემა გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ერთად იკრიბება ლოცვაში, რათა დამსწრეთ მეგზურობა გაუწიოს იმ „მაღალ დარბაზში“, სადაც სული წმიდა ვლინდება, როგორც სულთმოფენის ჟამს.

წმიდა მამის, ბენედიქტე XVI-ის სახელით ვეუბნები ჩვენს კათოლიკეებს: მადლობა ვუძღვნათ უფალს ამ წყალობის ჟამს, რომლის დროსაც იგი უთუოდ გვეწვევა. მივიღოთ იგი რწმენითა და სიმამაცით. რწმენით, რადგან, ქრისტიანად და კათოლიკედ ყოფნა საოცარი საჩუქარია მისი სიყვარულისა. სიმამაცით კი იმიტომ, ქრისტიანად და კათოლიკედ ყოფნა ჩვენს დროში, ამ მიწაზე იოლი საქმე არაა. ჩვენ საქართველოს ისტორიის ნაწილი ვართ, საქართველოსი, რომელსაც ჩვენი დედები და მამები აშენებდნენ საკუთარი გარჯითა და, არც თუ იშვიათად, საკუთარი სისხლით; საქართველოსი, რომლის კულტურული საგანძური იმ ხალხის წვლილითაც მდიდრდებოდა, ჩვენს ეკლესიებში რომ ლოცულობდნენ. არც ქვეყნის სასიკეთოდ ყოველდღიური შრომა განასხვავებს ერთი ადამიანის მიერ დაღვრილ ოფლს მეორისაგან. ჩვენი ოფლი სხვაზე არანაკლებ დაიღვარა და დღესაც თავდადებით იღვრება ქვეყნის სამსახურში. რწმენა და სიმამაცე იმ მოხუცებისა, რომლებმაც შეინარჩუნეს რწმენა კომუნისტური სუსხის ხანაში. რწმენა და სიმამაცე იმ ადამიანებისა, რომლებიც რწმენას ინარჩუნებენ მოპოვებული თავისუფლების რთულ პერიოდში. მათ, ისე როგორც ახალგაზრდებს, ეკლესიისა და ერის მომავალს, ვთხოვთ ნუ შეჩერდებიან ნახევარ გზაზე, ნუ მიატოვებენ რწმენას, რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს რწმენაში ცხოვრება, ნუ დანებდებიან შანტაჟს, ქედს ნუ მოუხრიან ძალადობას, ამის უფლება არა აქვთ ქრისტეს ერთგულთ, მიმდევართ რომის პაპისა, რომელიც გახლავთ ეკლესიის ქვაკუთხედის, პეტრეს მემკვიდრე. კათოლიკური რწმენის მიტოვება ძალზე მძიმე ცოდვაა. ამის ჩამდენი განკვეთილი იქნება და ვეღარ მიიღებს საიდუმლოებებს კათოლიკურ ეკლესიაში. ამგვარ სიტუაციას არავინ და არასოდეს უნდა შეეგუოთ. იყო დრო, როცა ჩვენი კათოლიკენი სიცოცხლეს წირავდნენ, რათა შეენარჩუნებინათ რწმენა, ნგრევისა თუ წაბილწვისაგან დაეცვათ თავიანთი სალოცავი ადგილები. დღეს კი ჩვენზე ოდნავი ზეწოლა თუ ზოგიერთი სამოქალაქო უფლების არქონა ნუთუ საკმარისია, რათა უარი ვთქვათ იმაზე, რასაც ჩვენი მამა-პაპა სიცოცხლის ფასადაც კი მიატოვებდა? თუ ერთგულნი დავრჩებით, ღმერთი არასოდეს მიგვატოვებს და როცა უკეთესი დრო დადგება, ჩვენს მიერ გადატანილი ტანჯვა-ვაება ნაყოფს გამოიღებს.

საამისოდ კი ყველანი ერთად უნდა ვიდგეთ. „ერთად სავალი“ გზა კი, ისევე როგორც ჩვენი დღევანდელი ღმრთისმსახურება და ლოცვა, კიდევ უფრო შეგვაკავშირებს და მეტი ძალით განგვაცდევინებს ჩვენი რწმენით გამოწვეულ სიხარულს. მღვდლები და ბერ-მონაზვნები ერთ მუშტად უნდა შეიკრან და ერთმანეთს შეეჯიბრონ ერთურთის პატივისცემასა და სიყვარულში. ასევე მტკიცე უნდა იყოს კავშირი მრევლსა და სასულიერო პირთა შორის, რათა მათ შორის არა ძალაუფლებისა და გავლენიანობის, არამედ თანაზიარებისა და მაგალითის მიცემის წესები სუფევდეს.

წმიდა საყდრის წარმომადგენლობა ისევე უნდა იყოს აღქმული, როგორც თავად წმიდა მამის არსებობა ჩვენში და არა როგორც წმიდა პოლიტიკური ინსტრუმენტი.

ადგილობრივი მოწოდებანი, ქართული მიწის შვილებისა, უკეთესი გარანტია იქნება მომავლისათვის. უფალი უკეთ გვაძლევს სანუგეშო ნიშნებს.

ხოლო იმ კათოლიკეებმა, რომლებიც საქართველოდან ემიგრირებენ, არა მხოლოდ არ უნდა დაკარგონ საკუთარი რწმენა, არამედ დაამყარონ კონკრეტული კავშირი ადგილობრივ კათოლიკურ საკრებულოსთან.

ნუ დაგვავიწყდება, რომ მხოლოდ ღოცვით მივანდობთ უფალს ჩვენს სურვილებსა და მოვალეობებს და უჭკველად პასუხსაც მივიღებთ.

ამ გრძნობებზე დაყრდნობით წარმატებულ სამუშაოს გისურვებთ, იმის იმედით, რომ მომავალი უფლისაა, იგი კი ჩვენ არ მოგვაკლებს ბედნიერებას, როგორც საზღაურს ჩვენი ნდობისა. გადმოგცემთ როგორც ჩემს, ასევე წმიდა მამის, ბენედიქტე XVI-ის განსაკუთრებულ კურთხევას.

8 სექტემბერი – ვაღეს საკრებულოს დღესასწაული

წმიდა მარიამის შობის დღესასწაულს მთელ კათოლიკურ სამყაროში დიდი ზეიმით აღნიშნავენ. ვაღეს ეკლესიაც ღმრთისმშობლის შობის სახელზეა აგებული და 8 სექტემბერი ვაღეს საკრებულოსთვის დიდი დღესასწაულია. დიდი მზადება და ფუსფუსი იგრძნობოდა საკრებულოში, ყველას სურდა თავისი წვლილი შეეტანა ამ ზეიმში.

ქუთაისის, უდეს, ახალციხისა და ვაღეს მოხალისე ახალგაზრდების ჯგუფი თავდადებით ცდილობდა ხუთი დღის განმავლობაში მოემზადებინა და გაელამაზებინა ეკლესიის წინა მოედანი, სადაც წმიდა წირვა უნდა ჩატარებულიყო.

თვალშისაცემი იყო მომლოცველთა სიმრავლე, რომლებიც სხვადასხვა საკრებულოებიდან ჩამოვიდნენ – არლიდან, უდედედან, ახალციხიდან, ივლიტიდან, წინუბნიდან (სომეხ-კათოლიკეთა მრევლი), სინოდის ყველა წევრი, საქართველოში მოღვაწე თითქმის ყველა მღვდელი და მონაზვნები.

წმიდა წირვა მართლაც ღამაში და შთამბეჭდავი იყო, მას ხიბლი იმანაც შემატა, რომ სახარების საკითხავი ძველქართულ ენაზე იქნა წაკითხული.

თავის ქადაგებაში ეპისკოპოსმა ისაუბრა ეკლესიაში მარიამის როლზე და ხაზი გაუსვა იმას, რომ მარიამი ჩვენი დედაა, ეკლესიის დედაა და თუ ჩვენ გვიხარია ჩვენი დაბადების დღე, უფრო მეტად უნდა გვიხაროდეს და ვზეიმობდეთ ჩვენი ეკლესიის დედის შობის დღესასწაულს.

წმიდა წირვას განსაკუთრებულ სილამაზეს სძენდა ვაღეს გოგონათა გუნდის წევრთა შეუდარებელი ხმები. გუნდის წევრებმა წირვის დასრულების შემდეგ მრავალხმიანი ხალხური სიმღერებით დაატკბეს სტუმარ-მასპინძლები.

მცხუნვარე მზით გამთბარი ეს მშვენიერი დღე, ვაღეს კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში კიდევ ერთი ღამაში ფურცლით შევიდა.

ნელი, ლელა, თამო

“აქ ხშირად მავიწყდება ჩემი ტრაგედია”, ამბობს უსახლკარო

22 აგვისტოს ბევრი სტუმარი ჰყავდა თბილისში მდებარე დედა ტერეზას მოწყალების დების კონგრეგაციის სახლს. დედა ტერეზას დებმა, როგორც ყოველ წელს, ახლაც დიდი ზეიმით აღნიშნეს ეს დღე, რომელიც მიეძღვნა ნეტარ ქალწულ მარიამს, როგორც დედოფალს. მონაზვნები ამავე დღეს აღნიშნავენ მარიამის უმანკო გულის საიდუმლოსაც. სტუმრებს გულთბილად და ღიმილით ხვდებოდნენ დები: ჯერალდეტი, მარია რაგამი, კალიანი, ბერთინი, ფრანჩესკა და ტომასინა. მათ საგანგებოდ მოერთოთ ნეტარ მარიამის ქანდაკება. ასევე მორთულ-მოკაზმულიყვნენ მობინადრენიც, განსაკუთრებით ქალები. ამჟამად 30-მდე უსახლკარო მოხუცი ბინადრობს ამ სახლში. თითქმის ყველა იჯდა სამლოცველოში, მძიმე ავადმყოფიც კი, სუფთად და კოპწიად ჩაცმული მოხუცები საყვარლად იჯდნენ და ელოდნენ წირვის დაწყებას. დაიმსახურეს კიდევ ეპისკოპოსის კომპლიმენტი. მამა ჯუზეპეს შეუმჩნეველი არ დარჩა მათი კოპწიანობა და გვერდით რომ ჩაუარა, ჩაილაპარაკა: „დღეს რა ლამაზები ხართ“.

წირვა აღაველინა მეუფე ჯუზეპემ, რომელსაც ესმარებოდნენ მ. ადამი, მ. აკაკი და მ. მათე. ეპისკოპოსმა ქადაგებაში ხაზი გაუსვა მარიამის უდიდეს როლს ქრისტიანის ცხოვრებაში.

წირვის დასრულების შემდეგ დები სტუმრებს ტკბილულით გაუმასპინძლდნენ.

შესაძლებლობა მომეცა გავსაუბრებოდი ერთ-ერთ მობინადრეს, ქალბატონ თამარს:

– გულნატკენი და დამწუხრებული ვარ იმის გამო, რომ შვილებმა მიმატოვეს, – მითხრა ქალბატონმა თამარმა, – ამერიკაში წავიდნენ და უსახლკაროდ დამტოვეს, მაგრამ აქ ისეთი ატმოსფეროა, რომ ხშირად მავიწყდება კიდევ ჩემი ტრაგედია. აქ შესანიშნავი პირობებია იმისთვის, რომ ჩემსავით უპოვარმა და უბედურმა არსებამ თავი ყველასაგან მიტოვებულად არ იგრძნოს. მინდა ყველამ გაიგოს რა დიდი მადლობელი ვარ დედა ტერეზას მოწყალების დების...

ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმ კეთილშობილი და უანგარო საქმიანობისა, რომელსაც აკეთებს დედა ტერეზას მოწყალების დების კონგრეგაცია საქართველოში.

ნადია ჩიტაძე

რა მოხდა უდის საკრებულოში

(წაკითხული სინოდის I სესიაზე, დისკუსიის დროს)

ამ წერილში მინდა მოკლედ შევეხო იმ ასპექტს, რამაც გამოიწვია სოფლის მოსახლეობის კათოლიკეებად და მართლმადიდებლებად დაყოფა. ჩემი თემა ნაწილობრივ ფორმაციასაც ეხება და ინფორმაციის ვაკუუმსაც, რაც იმ პერიოდში და ახლაც აქტუალურია. საუბარია ჯერ კიდევ იმ პერიოდზე, როდესაც

კომუნისტური რეჟიმი ახალ ფაზაში შედიოდა – ე. წ. „პერესტროიკის“ ხანაში და იწყებოდა საუბარი რელიგიის ლეგალიზაციასა ეკლესიების გახსნაზე.

სოფლის მოსახლეობის ერთ ნაწილს რელიგიური დღესასწაულების, ამა თუ იმ რიტუალებისა და ღოცვების შესახებ მხოლოდ ძალზე მოხუცი ქალების მეშვეობით თუ გაეგო, რომელთაც ბავშვობაში მიეღოთ რელიგიური აღზრდა და ღრმა მოხუცობამდე შეენარჩუნებინათ. მათ ახსოვდა და გალობდნენ საგალობლებს, რომლებიც დღესაც მოწონებას იმსახურებენ.

სოფელში იყო დიდი კათოლიკური ეკლესია, რომელიც ჩვენმა კათოლიკე წინაპრებმა ააგეს სოფლის მუსულმანი მოსახლეობის მხარდაჭერით. კომუნისტების პერიოდში ეკლესია დაკეტილი იყო და კოლმეურნეობის საწყობად იყენებდნენ.

თუ ზუსტად მახსოვს, 1989-90 წლებში მოხდა ეკლესიის გახსნა. მოვიდა მართლმადიდებელი მღვდელი მამა თევდორე, რომელიც საკმაოდ ტაქტიანი იყო და დიპლომატიური ტიპილი ენითა და დაპირებებით ჰპირდებოდა ხალხს, რომ წირვა სწორედ ისე ჩატარდებოდა, როგორც მათ სურდათ. ჩვენ საკმაოდ გაუცნობიერებელნი ვიყავით, რა განსხვავება იყო მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის (მაშინ ასე მწვავე დაპირისპირება არც ყოფილა, პირიქით, საკმაოდ კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდათ კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს).

რელიგიის ასეთი მკაცრი აკრძალვისა და დევნის შემდეგ, ოღონდ ეკლესია გახსნილიყო, ოღონდ ხალხს საშუალება ჰქონოდა, შიგ შეესულიყო და ყოველგვარი შიშის გარეშე ელოცა, რომ არსებით განსხვავებას ვერც ხედავდა ამ ორ კონფესიას შორის და არც ჩაუღრმავდა ამას. ამ პერიოდში თავი იჩინა ე. წ. „თურქი-მესხების“ ჩამოსახლების პრობლემამაც. სოფელი დაზაფრული იყო. ხალხი ღამეებს ათენებდა, იმართებოდა მიტინგები და იმ პერიოდში ხალხმა განსჯის უნარიც დაკარგა, ოღონდ ქრისტიანული ეკლესია გახსნილიყო და კონფესიას აღარ დაგიდევდნენ, მით უმეტეს, რომ მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ვერც კი ერკვეოდა, რა განსხვავებები არსებობდა მათ შორის. და, რაც მთავარია, ახსოვდათ მამა თევდორეს დაპირებები, რომ წირვები ისე ჩატარდებოდა, როგორც მათ სურდათ. ყველაფერი უცოდინარობის და ინფორმაციის ნაკლებობის ბრალი იყო. არ გვყავდა ისეთი სასულიერო ან საერო პირი, რომელიც დაგვაკვალვინებდა, სწორ გზას გვაჩვენებდა.

როცა მამა თევდორემ დანაპირები არ აღასრულა და მორწმუნეებს საშუალებას არ აძლევდა, ელოცათ საკუთარ ეკლესიაში. ხალხი გამოფხიზლდა, და ბრძოლა დაიწყო, მოხუცები ეკლესიის კარებში ჯოხებითაც კი ჩადგნენ, რომ იქ მართლმადიდებელი მღვდელი არ შეეშვათ, მაგრამ მაშინდელი სახელმწიფოს მესვეურნი ჩაერივნენ ამ საქმეში და ხალხი იძულებით გააჩუმეს.

მიუხედავად ძალადობისა და აკრძალვისა, ხალხი მაინც ვერ შეეგუა ამ მდგომარეობას: სხვადასხვა ინსტანციებში იწერებოდა და ახლაც გრძელდება მოთხოვნები ეკლესიის დაბრუნების შესახებ, მაგრამ მათი ხმა რჩებოდა „ხმად მღაღაღებლისა უღაბნოსა შინა“.

და როცა მამა თევდორემ, ასე თუ ისე დაიმკვიდრა სოფელში ადგილი, შეძლო ახალგაზრდების აყოლიება და მერე მათი ოჯახების მიმხრობაც. ამის შემდეგ სოფელში ისეთი დაპირისპირება წარმოიშვა, რომ ის ორად გაიხლიჩა და

დღემდე შეუძლებელია სულიერების ნიადაგზე კომპრომისი და სოფლის გაერთიანება, რაც მეტად მტკივნეული და სავალალოა მთელი სოფლისთვის.

ეკატერინე კაკოშვილი
უღე

თეოლოგია

მარტივი პასუხები მარტივ კითხვებზე უპასუხებს მამა პიერ დიუმულენი

მოკლე პასუხები ზოგიერთ პრობლემაზე, რომელიც საქართველოში კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა შორის წამოიჭრა.

– როგორ უნდა იყოს განლაგებული ფეხები ჯვარცმაზე?

– კათოლიკისთვის ეს არც თუ ისე მნიშვნელოვანია. ფეხები შეიძლება იყოს მიღურსმილი ერთად ან ცალ-ცალკე. რატომ გაჩნდა განსხვავება?

მეექვსე საუკუნემდე ქრისტიანები არ გამოსახავდნენ ჯვარცმას. სიკვდილით დასჯის ეს “ხერხი” ჯერ კიდევ გამოიყენებოდა და მიუღებელი იყო საკუთარი ღმრთის ამგვარად გამოსახვა. მხოლოდ ჯვარზე გაკვრით დასჯის გაუქმების შემდეგ, როდესაც ხსოვნა მის შესახებ გაქარწყლდა, დაიწყეს ამ სიმბოლოს გამოსახვა. ნიმუშად უფლის კვართი გამოიყენებოდა (ჯერ ედესაში, შემდეგ კი კონსტანტინოპოლში დაცული). ერთი შეხედვით, კვართზე უფლის ფეხები პარალელურად არის განლაგებული. მაგრამ კარგად თუ დაგაკვირდებით, დავინახავთ, რომ მარჯვენა ფეხი მუხლში ოდნავ მოხრილია და ამგვარად მარცხენაზე მოკლე. დასავლურ გამოსახულებებში მარჯვენა ფეხი მარცხენაზეა მოთავსებული. აღმოსავლურ გამოსახულებებში მოხრილი მარჯვენა ფეხის პრობლემა სხვაგვარად არის გადაწყვეტილი: მუხლების დონეზე გამოყენებულია განივი ძელი. ამრიგად აღმოსავლეთი წარმოგვიდგენს იმას, რასაც კვართზე ვხედავთ; დასავლეთი გამოსახავს ჯვარმას იმგვარად, როგორც იგი სინამდვილეში უნდა ყოფილიყო.

ეს განსხვავება არ არის მნიშვნელოვანი. გავიხსენოთ, რომ საქართველოშიც გამოსახავდნენ ჯვარცმულს შეერთებული ფეხებით: ბოდბის კანკელის ჯვარცმა და თბილისის ეროვნულ მუზეუმში დაცული გაბრიელ საფარელის საწინამძღვრო ჯვარი (ე. წ. “ბრეთის ჯვარი”, XII).

– საფუარიანი უნდა იყოს თუ არა ზიარების პური?

შესაძლებელია პურის ორივე სახის გამოყენება. თუმცა წმიდა ლუკასთან ვკითხულობთ: *“დადგა უფუარობის დღე, როცა უნდა დაკლულიყო პასექი. მოავლინა პეტრე და იოანე და უთხრა: “წადით, მოამზადეთ ჩვენთვის პასექი, რომ ვჭამოთ”* (ლუკ. 22,7-8. იხ. მარკ. 14,12; მათ. 26,17). *“აიღო პური, მადლი შესწირა,*

გატეხა, დაურიგა მათ და უთხრა: ეს ჩემი სხეულია...” (ლუკ. 22,19). აქედან ცხადია, რომ უფუარობის დღეს იესოს საფუარიანი არ უჭამია.

იოანეს სახარებაში უკანასკნელი სერობა სადღესასწაულო მწუხრია, ქრისტე-კრავის მსხვერპლად შეწირვისა და ახალი პასექის დადგინების მოლოდინი.

პავლე მოციქული ამბობს: “ნუთუ არ იცით, რომ მცირეოდენი საფუარი მთელ ცომს აფუებს? განწმიდეთ თქვენი საფუარი, რათა იყოთ ახალი ცომი, რამდენადაც ხმიადები ხართ, ვინაიდან ჩვენი პასექი, ქრისტე, ჩვენს გამო შეეწირა. ამიტომ ვიდღესასწაულოთ არა ძველი საფუარით, არა ბოროტებისა და უკეთურების საფუარით, არამედ სიწმიდისა და ჭეშმარიტების ხმიადით” (1კორ 5,6-8).

- რას ნიშნავს პეტრეს პირველობა?

იესომ უთხრა პეტრეს: “შენა ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევენ ჯოჯოხეთის ბჭენი. მოგცემ შენ ცათა სასუფევლის გასაღებებს და, რასაც შეპკრავ მიწაზე, ზეცაშიც შეკრული იქნება, ხოლო რასაც გახსნი მიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც” (მათ. 16,18).

იოანეს სახარებაში იესო ამბობს: “და იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი” (იოან. 10,16).

აღდგომის შემდეგ იგი სამგზის ეუბნება პეტრეს: “დამწყესე ჩემი ცხვრები” (ინ 21,15-17).

ლუკას სახარებაში იესო აცხადებს: “სიმონ, სიმონ! აჰა, სატანამ გამოგითხოვათ თქვენ, რომ ხორბალივით გაგცხრილოთ. მაგრამ მე ვილოცე თქვენთვის, რომ არ დაილიოს თქვენი რწმენა და, როცა კვლავ მოიქცევი, გაამხნევე შენი ძმები” (ლუკ. 22, 31-32).

სახარებაში პეტრე ყოველთვის მოქმედებს თორმეტი მოციქულის სახელით. განსაკუთრებულია მისი, როგორც რომის ეპისკოპოსისა და მემკვიდრის როლი. პეტრემ, მოციქულთა თავმა, მიიღო ცათა სასუფევლის გასაღები; იგი არის კლდე, რომელსაც ეფუძნება ეკლესია; იესომ, კეთილმა მწყემსმა, მას მიაბარა თავისი სამწყსო. ამიტომ, თუ ვაღიარებთ პეტრესა და მისი მემკვიდრეების პირველობას, დავა-კამათების მიუხედავად, ჭეშმარიტებაში ვრჩებით.

- არსებობს თუ არა განსაწმედელი?

განსაწმედელი, ისევე როგორც სამოთხე ან ჯოჯოხეთი, არ არის ადგილი, არამედ სულის მდგომარეობა. სიკვდილის შემდეგ სული არ არის საბოლოოდ განწირული ან ხსნილი. კიდევ რჩება განწმენდის შესაძლებლობა. ამიტომაც ლოცულობენ მიცვალებულთათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ვედრებას აზრი არ ექნებოდა. ზოგიერთი სული იწმიდება მიწიერი ცხოვრების დროს – რწმენით, ზიარებით, ტანჯვითა და კეთილი საქმეებით. მათ შეუძლიათ პირდაპირ შევიდნენ ღმრთის სასუფევლის ნეტარებაში. ის, ვინც არა მარტო ბოროტება ჩაიდინა, არამედ მონანიების გარეშე მოკვდა და უღმრთოდ დარჩენა აირჩია, ჯოჯოხეთშია: ეს ღმრთის ნებაყოფილობითი უარყოფის შედეგია. ზოგიერთი სული არ არის მზად დაიმკვიდროს ღმრთის სასუფეველი, მაგრამ მიიღტვის მისკენ, მიუხედავად სისუსტისა; იგი უნდა განიწმიდოს, მაგრამ მისი მიწიერი ცხოვრების დრო დასრულდა. ახლა ხსნა შინაგანი მონანიებითა და სრულიად ეკლესიის ლოცვით

შეუძლია. ეს არის განწმედა უკანასკნელი სამსჯავროს წინ. თუ კი გვწამს, რომ საჭიროა მიცვალებულთათვის ღოცვა, განსაწმედელის არსებობაც უნდა ვაღიაროთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთმა ადამიანს არჩევანის თავისუფლება მიანიჭა. ჩვენი თავისუფალი არჩევანით მივიღებთ ხსნას და დავიმკვიდრებთ სასუფეველს, ან ჩავალთ ჯოჯოხეთში.

ბიბლიის არც ერთი ტექსტი არ საუბრობს განსაწმენდელის შესახებ, მაგრამ უკვე ძველი აღთქმა გვამცნობს მიცვალებულთა მკვდრეთით აღდგომას (2 მაკაბ 7); მთის ქადაგებაში იესო გვასწავლის: *“შეურიგდი შენს მეტოქეს სასწრაფოდ, ვიდრე მასთან ერთად გზას ადგახარ, რომ მეტოქემ არ გადაგცეს მსაჯულს, ხოლო მსაჯულმა არ გადაგცეს მსახურს და არ ჩავაგდონ საპყრობილეში”* (მთ 5,25. იხ. ლკ 12,58). აქ სწორედ უამთა აღსასრულზეა საუბარი. პავლე მოციქული კი ამბობს: *“თითოეულის საქმე გამომჟღავნდება. ვინაიდან დღე გამოაჩენს, რადგან ის ცეცხლით გამოცხადდება და თითოეულის საქმეს, როგორც არის, ცეცხლი გამოცდის. ვისი დაშენებულიც გაძლებს, ის მიიღებს საზღაურს. ვისი საქმეც დაიწვება, ის იზარალებს. თვითონ კი გადარჩება, მაგრამ როგორც ცეცხლიდან”* (1კორ 3,13-15).

- ქორწინების საიდუმლოების ურღვევობა

კათოლიკე ეკლესიისგან განსხვავებით მართლმადიდებლები არ კრძალავენ განქორწინებას და ხელმეორე ქორწინებას. ახალი აღთქმის ოთხი ტექსტი ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ხელმეორე ქორწინებას: მკ 10,1-12; მთ 19,1-9; ლკ 16,18 და 1კორ 7,10. *“ყოველი, ვინც თავის ცოლს გაუშვებს და სხვას შეირთავს, მრუშობს”* (ლკ 16,18). ოთხიდან სამი ტექსტი სრულიად გამორიცხავს განქორწინების ნებისმიერ ფორმას. მხოლოდ მათე, რომელიც ებრაელთათვის წერდა, ამატებს: *“ვინც თავის ცოლს გაუშვებს სიძვის მიზეზის გარეშე...”* (მთ 19,9). საქმე იმაშია, რომ “სიძვა” (ბერძ. “porneia”; ებრ. “zmut”) უქორწინებელთა კავშირს ნიშნავს. ამრიგად გაყრა დასაშვებია მხოლოდ დაუკანონებელი ქორწინების შემთხვევაში, განსაკუთრებით თუ მეუღლეები არიან ნათესავები ან ადგილი აქვს რამე იძულებას.

ამრიგად, განქორწინება ცოდვია. ამ შემთხვევაში ირღვევა საიდუმლოებრივი კავშირი, რადგან წმიდა პავლე განსაზღვრავს ქორწინებას, როგორც ქრისტეს საიდუმლოებრივ სიყვარულს ეკლესიის მიმართ.

“ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და მიეკრობა თავის ცოლს, და ორივენი ერთ ხორცად იქნებიან. დიდია ეს საიდუმლო, მე ვამბობ ქრისტეზე და ეკლესიაზე. ასევე ყოველ თქვენგანს უყვარდეს თავისი ცოლი, როგორც საკუთარი თავი. ცოლსაც ეშინოდეს ქმრისა” (ეფ 5,31-33).

ეკუმენური გვერდი

ქრისტიანული ბანაკების პერსპექტივები

რამდენიმე ათწლეულია, რაც არსებობს ქრისტიანული ბანაკების საერთაშორისო ასოციაცია. მისი შტაბბინა შეერთებულ შტატებში არის განლაგებული, ხოლო საქმიანობის გეოგრაფია თითქმის მთელ ქრისტიანულ სამყაროს მოიცავს. სსრკ-ს

დაშლის შემდეგ კანადის რეგიონალურმა შტაბბინამ ითავა პოსტსაბჭოურ სივრცეში ქრისტიანული ბანაკების ორგანიზაციების დახმარება. ათწლეულზე მეტია, რაც ამგვარი ტიპის ბანაკების ფართო ქსელი მოეფინა პოსტსაბჭოურ სივრცეს.

2000 წლიდან ქრისტიანული ბანაკები იქმნება საქართველოშიც. ჩვენს ქვეყანაში ამ ბანაკების დაფუძნების ინიციატორი გახლავთ ვალერი ბუილღიშვილი. მისი ხელმძღვანელობით დაწყებულმა საბანაკო მოძრაობამ ისეთი პოპულარობა და მასშტაბები მიიღო, რომ ქრისტიანული ბანაკების ასოციაციის ხელმძღვანელობამ ბატონ ვალერის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური გაერთიანების კოორდინაციაც ჩააბარა. უკვე რამდენიმე წელია ვალერი ბუილღიშვილი საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ქრისტიანული ბანაკების რეგიონალური ასოციაციის თავმჯდომარეა. ამ ხნის მანძილზე უცხოელ სპეციალისტთა დახმარებით მომზადდნენ ქრისტიანული ბანაკების კოორდინატორები და ლიდერები, დაიხვეწა მუშაობის სტილი, შეიქმნა ინფრასტრუქტურაც: ათეულობითა და ასეულობით მოზარდსა და ახალგაზრდას (10-დან 20 წლამდე) საშუალება აქვს დასვენებას, გართობას, სპორტს შეუთანხმოს ბიბლიის შესწავლა და ქრისტიანული ცხოვრების ჩვევები აითვისოს.

და მაინც რა არის ქრისტიანული ბანაკი? წარმოიდგინეთ მშვენიერ საკურორტო ადგილზე მოქმედი დასასვენებელი კომპლექსი, სადაც სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლები ერთად ცხოვრობენ საინტერესო, ერთობ ინტენსიური ცხოვრებით, ეცნობიან ბიბლიას, ისმენენ საუბრებს ქრისტიანობაზე, სხვადასხვა აღმსარებლობაზე. კამათობენ, ერთობიან, აწყობენ შემეცნებით-გასართობ საღამოებს, ასუფთავებენ ტერიტორიას და ა. შ. ბანაკი მიზნად არ ისახავს რომელიმე ქრისტიანული კონფესიის სწავლების პროპაგანდას, ბანაკში უბრალოდ, მეგობრობენ ერთმანეთთან და ზოგადქრისტიანულ, ბიბლიურ საფუძვლებს ეზიარებიან. ბანაკიდან წასულ ახალგაზრდას, რომელიც ცხოვრობდა სხვა კონფესიების თანატოლებთან ერთად, ჰყავდა სხვა კონფესიის ლიდერები, მათთან ერთად ცხოვრობდა, შრომობდა, სწავლობდა, ერთობოდა, ლაშქრობებში დადიოდა შინ დაბრუნების შემდეგ აღარ გაუჩნდება იმის გრძნობა, რომ სხვა კონფესიის თუ დენომინაციის ადამიანები ქვეყნისთვის ზიანის მომტანნი, მწვალებლები და ცრურწმენის გამავრცელებლები არიან. მოზარდები საკუთარი თვალთ რწმუნდებიან, რომ კათოლიკეებიც, პროტესტანტებიც, მართლმადიდებლებიც ზუსტად ერთ ღმრთის სიტყვას აღიარებენ, ერთ ქრისტეს, ერთ უფალს განადიდებენ და ერთნაირად უყვართ საქართველოც, მოყვასიც და ერთნაირი წვლილი შეაქვთ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

და კიდევ ერთი,

ქრისტიანული ბანაკის მონაწილეების, რომელიც წლეულს ბორჯომის რაიონის კურორტ ცემში შეიკრიბა, 70-80%-ს მართლმადიდებლები წარმოადგენდნენ. მათი უმეტესობა მეორედ ან მესამედ იმყოფებოდა ბანაკში. დანარჩენი ახალგაზრდები სხვადასხვა პროტესტანტულ დენომინაციებს მიეკუთვნებოდნენ. კათოლიკური ეკლესიიდან წლეულს ბანაკში ერთი მოზარდი იყო, მიკერძოებაში ნუ ჩამომართმევთ და ბანაკის დასრულების შემდეგ ჩატარებული გამოკითვის შედეგად იგი ყველაზე პოპულარულ პიროვნებად აღიარეს. მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი, უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბანაკში, მოზარდების გარდა, არიან დამსვენებლებიც, რომლებიც ძირითადად მართლმადიდებელი მშობლები არიან, ისინი, ვინც თავისი ოჯახის წევრების მეშვეობით გაიგო ამ ბანაკების არსებობის შესახებ და ისე მოიხიბლა მათი მონათხრობით, რომ თავადაც გადაწყვიტა აქ დასვენება. ეს უბრალო კონტაქტები ეხმარებოდა მათ გადაეღახათ ის ბარიერები, რაც განსხვავებული

კონფესიების გამო დაბრკოლებად ესახებოდათ (ზოგიერთი არაკეთილმოსურნის მიერ გავრცელებული ცილისწამების საფუძველზე). არ დამავიწყდება ერთი ბათუმელი ქალბატონის აღიარება, როგორი მადლიერები არიან ისინი კათოლიკე მღვდლის, მამა გაბრიელე ბრაგანტინისა იმ საქველმოქმედო საქმიანობისთვის, რასაც კათოლიკური ეკლესია ეწევა ბათუმელ უპოვართათვის. ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით აღვსილი თვალები მე ვნახე იმ მონაზვნების გაცნობისას, რომლებიც მამა გაბრიელეს ეხმარებიან საქველმოქმედო საქმიანობაში. არც ერთი კონფესიის წარმომადგენელი არ ზრუნავს ბათუმელ უპოვრებზე, როგორც მამა გაბრიელე და მე სულ არ მაინტერესებს ვინ რომელი კონფესიისააო, – განაცხადა ამ ქალბატონმა ჩემთან საუბარში.

ცემის ქრისტიანულ ბანაკში დილიდან საღამომდე მხიარულებით, კეთილგანწყობით სავსე ატმოსფერო სუფევდა. ჩემთვის, ვისაც კარგად ახსოვს საბჭოური პიონერული ბანაკები და თანამედროვე მოზარდებსაც საკმაოდ კარგად ვიცნობ, გასაოცარი იყო, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ჩხუბს, არც დაპირისპირებებსა და საქმის გარჩევებს ადგილი არ ჰქონია და ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ბანაკის ხელმძღვანელებსაც არ ჰქონდა ქეიფი და დროსტარება გაჩაღებული, ყველანი ქრისტიანული ცხოვრებით ცხოვრობდნენ.

ამაღელვებელი იყო, როდესაც მთელი ბანაკი – სხვადასხვა კონფესიისა და ეროვნების წარმომადგენლები შინაგანი აღმაფრენით ერთად ასრულებდნენ საქართველოს ჰიმნს და აღტაცებული თვალებით შესცქეროდნენ საქართველოს დროშის აღმართვას.

დაბოლოს, იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალ ზაფხულს ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლები უფრო მასშტაბურად დაისვენებენ ქრისტიანულ ბანაკებში და მრავალ ახალ მეგობარს შეიძენენ. ასევე, ბატონი ვალერი ბუილლიშვილი შეგეპირდა, რომ დაგვეხმარება საბანაკო ლიდერების ტრენინგში, რათა შემდგომ ჩვენც ჩამოვაყალიბოთ ქრისტიანული ბანაკი და გაავწევრიანდეთ ამ საერთაშორისო ასოციაციაში.

მიმდინარე შემოდგომას კი თბილისი მასპინძლობს აღმოსავლეთის ქვეყნების ქრისტიანულ ბანაკების მესვეურებს და წეროვანის სულიერებისა და კულტურის ცენტრით მოხიბლული ვალერი ბუილლიშვილის ფიქრით შეიძლება სწორედ წეროვანი იყოს ამ საერთაშორისო ფორუმის მასპინძელი.

ნუგზარ ბარდაველიძე

სოციალური პრობლემები

აბორტი – ზნეობრივი ბოროტება

თანამედროვე ბიოლოგიის თვალსაზრისით, ადამიანის სიცოცხლე იწყება არა მისი დაბადებიდან, არამედ ორი სხვადასხვა სქესის უჯრედის ბირთვის შერწყმის მომენტიდან, როდესაც ყალიბდება ერთი უჯრედი ზიგოტა, რომელიც შეიცავს განუმეორებელ გენეტიკურ ნივთიერებას, მასში არის მთელი ინფორმაცია ადამიანის შესახებ: სქესი, სიმაღლე, თმის ფერი, სახის ნაკვთები, სისხლის ჯგუფი და, რაც მთავარია, ყველა ის შესაძლებლობა რაც თანდათან უნდა განვითარდეს ადამიანში ჯერ მუცლად ყოფნის დროს და შემდეგ დაბადებიდან. ამიტომ, იმთავითვე, დედის ორგანიზმში არსებული ახალი ადამიანური ორგანიზმი არ შეიძლება გავაიგივოთ დედის ორგანიზმის რომელიმე ორგანოსთან ან რომელიმე ორგანოს ნაწილთან. ჩანასახიდანვე იგი უკვე არის ადამიანი – ინდივიდუალური და განუმეორებელი, მას გააჩნია ზრდასრული ადამიანის ყველა თვისების ჩანასახეობრივი ფორმა.

გამომდინარე აქედან, აბორტი ფეხმძიმობის ნებისმიერ ეტაპზე არის განზრახული, დაგეგმილი სიცოცხლის მოსპობა ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ინდივიდის და არ არსებობს პრინციპული განსხვავება ბავშვის დაბადებამდე, მუცლად ყოფნის დროს მოკვლასა და უკვე დაბადებული ან ზრდასრული ადამიანის მკვლელობას შორის.

თანამედროვე მედიცინის მიხედვით, აბორტის დროს ბავშვი ისევე განიცდის ტკივილს, როგორც მოზრდილი ადამიანი, რომელსაც კლავენ წამებით. გარდა ამისა, აბორტს მოსდევს ქალის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება (აბორტის შემდგომი სინდრომი, მკერდის კიბო, ქალის სიკვდილი აბორტის დროს ან შემდეგ, ქალის უნაყოფობა და უამრავი სხვა). მაგალითად უკრაინაში ერთი მილიონი დაქორწინებული წყვილი არის უნაყოფო და მათგან უმეტესობა ქალის მიზეზით, ხოლო ქალების უნაყოფობა განპირობებულია შემთხვევათა 80%-ში აბორტით.

სამედიცინო ეთიკის პოზიციით აბორტი არის გამრუდება და შერცხვენა ექიმის უმაღლესი მოწოდების – უმკურნალოს და გადაარჩინოს ადამიანის სიცოცხლე და არა მოკლას და საკუთარი ხელით გაანადგუროს იგი.

ფილოსოფიური ანთროპოლოგიის თვალსაზრისით, ადამიანი არის პიროვნება, ე. ი. არსება გონებით, გრძნობით და თავისუფალი ნებით; არსება, რომელსაც ძალუძს განახორციელოს თავისი არსებობა, ყოფნა, ფლობდეს საკუთარ თავს და განსაზღვროს თავისუფალი დამოკიდებულება როგორც თავის თავთან ასევე სხვებთან. ამიტომ იგი ფლობს შეუდარებელ ღირსებას და ხელშეუხებელ, ურღვევ სიცოცხლის უფლებას. პიროვნულობა იმდენად რადიკალური განმასხვებელია ადამიანისა მთელი დანარჩენი სამყაროსგან, რომ შეუძლებელია რაღაც გახდეს პიროვნება, თუკი იგი ასეთი არ იყო თავიდანვე, დასაწყისიდან. ამგვარად, თუკი მოზრდილი აქტუალიზებული ადამიანი არის პიროვნება, ეს ნიშნავს, რომ იგი პიროვნებაა დასაწყისიდანვე და ამ მომენტიდანვე მასში პიროვნული ღირსება და ხელშეუხებელი ძირითადი უფლება – სიცოცხლის უფლება და ეს უფლება აქვს მას სიცოცხლის, თავისი არსებობის დაწყებიდან, მის ბუნებრივ (ბიოლოგიურ) დასასრულამდე.

დემოგრაფია – სტატისტიკა: აბორტის ლეგალიზაციის დღიდან – 1955 წლიდან დღემდე, ყოფილ საბჭოთა კავშირში აბორტის რიცხვმა შეადგინა წელიწადში 400-დან 900 ათასამდე. მსოფლიო სტატისტიკით კი, აბორტის შედეგად, მსოფლიოში წუთში კლავენ 400 ბავშვს, კვირაში ეს რიცხვი რამდენიმე მილიონს აღწევს.

ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, სამყარო ზოგადად მიმართულია იქითკენ, რომ გამოკვებოს ისინი, ვინც არსებობენ დღეს და არ იფიქროს ხვალისდღეზე. არსებობს შიში, რომ თუ მსოფლიოში მოხდება შესამჩნევი ზრდა შობადობის, მოსახლეობის, დედამიწა ვეღარ უზრუნველყოფს მათ რესურსით, ხშირად თეოლოგებსაც არ აქვთ ამაზე პასუხი.... მაგრამ თუ შევხედავთ უფრო ლოკალურად და ოპტიმისტურად, პასუხი საკმაოდ ლოგიკურია და მარტივი: თუ სამყაროსა და ადამიანის შექმნას დაუუქვემდებარებთ ღმრთის ნებას, ეს ნიშნავს, რომ ღმერთს შეუძლია სიცოცხლე აჩუქოს იმდენივე ადამიანს, რამდენიც შეუძლია გამოკვებოს. და თუ დღეს არის დედამიწაზე ადგილი, სადაც ბავშვები კვდებიან შიმშილით, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ღმერთმა ისინი შექმნა, რათა დახოცოს, არამედ იმიტომ, რომ მთელი დანარჩენი სამყარო (იგივე ჩვენ) ვერ ამჩნევს სიღატაკეს, არ ახსოვს დარბები, ხშირად ვერც კი წარმოუდგენია, რომ 21-ე საუკუნეში ვინმე შეიძლება შიმშილით მოკვდეს.

ჩვენს ირგვლივ ყველა ის ბავშვი რომელიც უნდა გაჩენილიყო და მოკვდეს, არის მომავალი ახალგაზრდა ძალა, ნიჭი, შესაძლებლობა, მათ უნდა შეცვალონ პენსიონერები სამუშაო ადგილზე.

ქვეყანას რომელსაც სურს, რომ იყოს ეკონომიურად ძლიერი მართებს იზრუნოს დემოგრაფიაზე და უარი თქვას ბავშვების მკვლევლობაზე დედის მუცელში.

პოლიტიკური თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა, იზრუნოს თავისი მოქალაქეების საერთო სიკეთეზე და ებრძოდეს ბოროტებას, იმის მიუხედავად, რა დონეზეა ეს ბოროტება განვითარებული. თუ სახელმწიფო თანხმობაშია ბოროტებასთან, ურიგდება მას და კანონიერს ხდის მხოლოდ იმიტომ, რომ უძლურია მასთან ბრძოლაში, მაშინ სახელმწიფო აიგივებს თავის თავს ამ ბოროტებასთან და გადადის მის მხარეზე და საბოლოოდ კარგავს სახელმწიფოდ ყოფნის აზრს.

ყოფით დონეზე რა შეიძლება იყოს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს უბანში, ჩვენს მეზობლად და ა.შ. აბორტის მიზეზი? შეიძლება ითქვას, რომ არის ერთი მთავარი მიზეზი და არის შემდეგ აქედან გამომდინარე მიზეზები. მიზეზი არის ის, რომ ზრდასრული ადამიანების მხრიდან არ აღიქმება მუცლად მყოფი ბავშვი პიროვნებად. არავინ ფიქრობს, რომ ის არის ერთი ჩვენთაგანი, რომ ცოტა ხანში (სულ ერთია კონკრეტულად როდის, დროის გაგება ამ წუთისოფელში ხომ ძალიან პირობითია!) ისიც გახდება ჩვეულებრივი ადამიანი, როგორებიც ჩვენ ვართ. ამას მოსდევს, ან შეიძლება ითქვას ასეთი დამოკიდებულება იწვევს შემდგომში სხვა მიზეზებს. მაგ. აბორტს იკეთებენ იმიტომ, რომ არ აქვთ მატერიალური საშუალება ბავშვი გაზარდონ, ან იმიტომ, რომ ოჯახში არის კონფლიქტი და ბავშვი მხოლოდ ხელის შემშლელია ყველასთვის, ან კიდევ იმიტომ, რომ დაფარონ დაშვებული შეცდომა – დაფეხმძიმება. არის კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც აბორტის აუცილებლობა განპირობებულია დედის ან შვილის სიცოცხლის გადასარჩენად. ამ შემთხვევაში, ბავშვი თავად იბრძვის სიცოცხლის შენარჩუნებისთვის და უქმნის დედის სიცოცხლეს საფრთხეს.

ბოლო შემთხვევის გარდა, არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს აბორტი გამართლებულად. თუ შევძლებთ პირველი ე. ი. მთავარი მიზეზის სწორად გაგებას, ანუ აღვიქვამთ მუცლად მყოფ ბავშვს უკვე პიროვნებად, – წარმოვიდგინოთ 3-4 წლის ბავშვი, ისიც ისეთივე პიროვნებაა, მატერიალური სიდუხჭირის გამო ჩვენ არ გვაქვს უფლება იგი სახლიდან გავაგდოთ ან მოვკლათ, ე. ი. ვიპოვიოთ აუცილებლად სხვა გამოსავალს. ასევე როცა ოჯახში პრობლემებია, მშობლები არ ხოცავენ შვილებს ამის გამო. მესამე შემთხვევაშიც, თუ ქალი შეცდა ან დაფეხმძიმდა შემთხვევით, მას არ აქვს უფლება შეცდომას დაუმატოს ცოდვა.

ძველ აღთქმაში ხელოვნურ აბორტზე საერთოდ არ არის საუბარი, გამოსვლის წიგნის 21:22 არის კანონი შემთხვევით მომხდარი უბედურების შესახებ

“თუ კაცები ჩხუბის დროს ორსულ ქალს დაჰკრავენ და ქალი ნაადრევად იმშობიარებს, მაგრამ უბედურება არ მოუვა, მაშინ ის ქალი უნდა დაჯარიმდეს, რასაც მას დააკისრებს იმ ქალის ქმარი, და გადაიხადოს მსაჯულთა თანდასწრებით. ხოლო თუ უბედურება დატრიალდა, მაშინ მიეცი: სიცოცხლე სიცოცხლის წილ, თვალი თვალის წილ...”

შეგნებულად პირმშოთა შეწირვა ესაა ბაალის (მოლოქის) თაყვანისცემა, წარმართული წესი, რასაც ყოველთვის უკრძალავდა ღმერთი ისრაელიანებს და სჯიდა მათ ამის გამო. 4 მეფეთა წიგნში დაწერილია ამ რიტუალის შესახებ, როდესაც გოგოს ან ბიჭს ატარებდნენ ცეცხლში (წვადნენ) და მოლოქისგან მოელოდნენ უხვ მოსავალსა და წარმატებებს.

როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაში აშკარად ჩანს, რომ ღმერთი პატივს სცემს თითოეული ადამიანის სიცოცხლეს, იგი ზრუნავს ადამიანზე ჩასახვის მომენტიდანვე.

ძველ აღთქმაში:

ეს. 44:2 *“ასე თქვა უფალმა შენმა შემქმნელმა,
დედის მუცელში შენმა გამომსახველმა და შენმა შემწემ”*

ეს. 49:1 *“უფალმა დედის მუცლიდან მომიხმო მე,
ჩემი დედის წიაღიდან ახსენა ჩემი სახელი”* (იესოზე)

იერ. 1:5 უფალი – იერემიას
“სანამ გამოგსახავდი მუცელში მე გიცნობდი შენ”

დავითის ფსალმ. 138:13-15

*“რადგან შენ დაბადე თირკმელნი ჩემნი,
შენ გამომიერწე დედაჩემის წიაღში.
გადიდებ რადგან საოცრებით შემქმენი:
საკვირველია საქმენი შენნი,
და ჩემმა სულმა იცის ეს სავსებით.
არ დაფარულა ჩემი ძვლები შენგან,
როცა ჩავისახე იდუმალებაში,
შევნივთდი ქვესკნელში
ჩემი ჩანასახი იხილეს შენმა თვალებმა”*

ახალ აღთქმაში :

“აჰ, ელისაბედსაც ჩაესახა ძე და მეექვსე თვეშია უკვე” ლუკა:1:36.

“როცა ელისაბედმა მარიამის მისალმება მოისმინა, ყრმა შეუტოკდა მუცელში”

ლუკა:1:41

და ასევე:

*“როცა შენი მისალმების ხმა მისწვდა ჩემს ყურს, სიხარულით შეტოკდა ყრმა ჩემს
მუცელში”* ლუკა 1:44

ამგვარად ადამიანი უკვდავ სულს იღებს ჩასახვის მომენტიდანვე, შეიძლება ეს საკამათო იყოს, მაგრამ თუ დავყვარდნობით ბიბლიას ასეა, წინააღმდეგ შემთხვევაში გავიჭირდებოდა გვეთქვა სიცოცხლის რომელ ეტაპზე ხდება ადამიანი “სულიერი” თუ არა მისი სიცოცხლის დასაწყისიდან?

საბოლოო ჯამში, რატომ შეიძლება ჩაითვალოს აბორტი ზნეობრივ ბოროტებად? რას ეფუძნება საერთოდ ზნეობრივი ბოროტება? იგი ეფუძნება სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარს და ამის ყველაზე უკეთესი მექანიზმია სინდისი. სინდისი არა როგორც მხოლოდ ემოციური რეაქცია, არამედ ემოციური და გააზრებული რეაქცია, რომელიც ეფუძნება გამოცდილებით მიღებულ ცოდნას.

გამოდის რომ, როცა ადამიანმა იცის (და, ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრმა იცის), რომ აბორტი არის დაგეგმილი, გააზრებული, ჯგუფური მკვლევლობა, რომელსაც არ აქვს გართლება ამ სამყაროში და ის მაინც საკუთარი ნებით ირჩევს ამ გზას, - შეფასება “ზნეობრივი ბოროტება”, ვფიქრობ, რბილიცაა.

ნებისმიერი მონეტის ან ფულადი კუპიურის ღირსება არის ის, რამდენიც იგი ღირს, ან რამდენის ყიდვაც შეიძლება მისით.

რა არის ადამიანის ღირსება? ის რაც ღირს ადამიანი.

და რა ღირს ადამიანი?

ადამიანი ღირს ღმრთის ერთადერთი ძის სიცოცხლე, რომელიც მსხვერპლად შეეწირა ჩვენთვის.

მარიკა ჯულუხაძე

გამოჩენილი კათოლიკენი

სიმონ ყაუხჩიშვილი

გამოჩენილი ქართველი ფილოლოგი და ისტორიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე სიმონ ყაუხჩიშვილი დაიბადა ქუთაისში, კათოლიკე ოჯახში, 1895 წლის 1 ოქტომბერს.

1917 წელს მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, პარალელურად სწავლობდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. 1918 წელს ივ. ჯავახიშვილის წარდგენით იგი დატოვეს თბილისის უნივერსიტეტში ხარისხის მოსაპოვებლად. 1920-23 წლებში ყაუხჩიშვილი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა საბერძნეთსა და გერმანიაში.

საქართველოში დაბრუნების შემდგომ სიმონ ყაუხჩიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს ბერძნულ-ლათინურ ფილოლოგიაში, ამასთანავე, ბიზანტიის ისტორიის კურსს.

1927-38 წლებში იგი განაგებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზანტინოლოგიის კათედრას, 1940-54 წლებში ხელმძღვანელობდა კლასიკური ფილოლოგიის კათედრას, ხოლო 1960 წლიდან გარდაცვალებამდე ყაუხჩიშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი. მან ბიზანტინოლოგიის ქართული სკოლა დააარსა და გრიგოლ წერეთლის გარდაცვალების შემდეგ კლასიკური ფილოლოგიის სკოლას ჩაუდგა სათავეში.

სიმონ ყაუხჩიშვილი მრავალმხრივი მეცნიერი იყო. მან ჯერ კიდევ 1920 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი „ხრონოგრაფი გიორგი მონოზნისა“, გამოსცა იოანე პეტრიწის შრომების ორი ტომი, ხოლო შემდგომში პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტრის „ტიპიკონის“ ბერძნული ვერსია ქართული თარგმანით და სხვ.

დიდია სიმონ ყაუხჩიშვილის დამსახურება ბერძნული ლიტერატურის შესწავლაში. მას ეკუთვნის სამტომიანი ბერძნული ლიტერატურის ისტორია, იმ დროს ერთადერთი სრული მიმოხილვა ბერძნულ-ბიზანტიური მწერლობის მხატვრულ ფორმათა განვითარებისა. მან პირველმა განსაზღვრა ბიზანტიზმი, როგორც ოთხი საწყისის – ელინურის, რომაულის, აღმოსავლურისა და ქრისტიანულის – სინთეზი. მანვე აჩვენა ბიზანტიური კულტურის ჩამოყალიბებაში აღმოსავლეთის ხალხების: ქართველების, სომხებისა და სლავების როლი.

1932 წელს მან დააარსა სერია „გეორგიკა ანუ ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ (რვა ტომად, 1932-70 წლებში) და შეადგინა ლათინურ-ქართული ლექსიკონი (პირველად გამოიცა 1920 წელს).

სწორედ ყაუხჩიშვილის დამსახურებაა ბერძნულ წერილობით წყაროებში საქართველოს შესახებ ცნობების თავმოყრა და მათი მეცნიერული დამუშავება, რითაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ანტიკურ და ბიზანტიურ სამყაროსთან საქართველოს

მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესწავლას. მასვე ეკუთვნის არაერთი გამოკვლევა საკუთრივ ბიზანტიის ისტორიიდან.

ყაუხჩიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ისტორიული მეცნიერების განვითარებაში. მას ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა ამ დარგის კონკრეტულ საკითხებზე. ყაუხჩიშვილის შემწეობით განხორციელდა „ქართლის ცხოვრების“ აკადემიური გამოცემა. 1942 წელს მისი რედაქციით დაიბეჭდა ანასეული „ქართლის ცხოვრება“, შემდეგ კი მთლიანი ვერსია, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით – სამ ტომად (ტ. I, II, IV). თითოეულ ტომს თან ახლავს ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც გარკვეული და დასაბუთებულია მრავალი სადაო საკითხი ამ ძეგლის გენეზისის, სტრუქტურის, შედგენილობის შესახებ.

დიდია ყაუხჩიშვილის ღვაწლი „არეოპაგიტიკის“ და „ბალავარიანის“ პრობლემების კვლევაში. იგი ეწეოდა აქტიურ მთარგმნელობით მუშაობასაც.

სიმონ ყაუხჩიშვილი გარდაიცვალა 1981 წლის 11 მაისს თბილისში.

დოდო ნებიერიძე-გაბრიჩიძე
ქუთაისი

პოეზიის სვეტი

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ჩემი ლოცვა

ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცდომილი
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ ღელვილი!
ნუთუ მამასა აღარ ჰქონდეს გულისტკივილი,
ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?

ჰო, სახიერო, რად წარვიკვეთ მე სასოებას:
პირველ უმანკომ თვით ადამმაც სცოდა შენს მცნებას,
უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება, –
გარნა იხილა სასუფევლის მან ნეტარება.

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა!
არ დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

გულთამხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე
და – ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთ შენდა სათქმელად?
მაშა ღუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად!

ახალგაზრდები ერთიანობის ასპექტში

ახალგაზრდების ერთიანობის პრობლემა, პირველ რიგში, მათ დაფანტულობაშია. უპირველესად უნდა დავიწყოთ მათი მოძებნა, როგორც იგავშია, როცა მწყემსი კეთილი ტოვებს 99 ცხვარს და მიდის ერთი დაკარგული ცხვრის საძებნელად. ასეთი პერსონალური მიდგომა გადაწყვეტს იმ მეტად მტკივნეულ პრობლემას, რომელსაც განიცის ახალგაზრდების უმრავლესობა, როდესაც მიიჩნევენ, რომ ეკლესია და მოძღვარი არ ზრუნავს თითოეულ მათგანზე, რაც გამომდინარეობს მღვდლების ნაკლებობიდან.

უკეთესი იქნება განვამტკიცოთ საძირკველი, რომელიც ახალის საყრდენი იქნება.

ჩვენი აზრით, ახალგაზრდების პრობლემები უფრო სულიერების სფეროს განეკუთვნება. მათ არ იციან ვის მიმართონ. მოძღვარმა მათ უფრო დიდი დრო უნდა დაუთმოს, რათა ჩასწვდეს თითოეული მათგანის ფსიქიკას და, აქედან გამომდინარე, შეიმუშავოს პერსონალური მიდგომის ხერხები. თუ მოძღვარი არ იცნობს თავისი საკრებულოს ახალგაზრდებს, არ იცის მათი სატკივარი და საჭიროებანი, ვერანაირ დახმარებას ვერ შეძლებს.

ახალგაზრდების პრობლემა ყველა საკრებულოში დგას. მოძღვრებმა უნდა იზრუნონ, რომ საკრებულოს ყველა ახალგაზრდა თანაბარუფლებიანი იყოს. მრევლის ნებისმიერ ახალგაზრდა წევრს მოძღვართან პიროვნული საუბრის საშუალება უნდა ჰქონდეს. ამის ინიციატივა კი ალბათ, მოძღვრისაგან უნდა მოდიოდეს და შეიძლება საუბარი ინტიმურ თემებსაც შეეხებოდეს. ასეთი დაახლოება მიიღწევა მხოლოდ მაშინ თუ ახალგაზრდებთან ახალგაზრდა მღვდელი იმუშავებს, რასაც კანონიერად ითხოვენ ახალგაზრდები.

ასეთი მჭიდრო და ნდობით აღსავსე ურთიერთობები სანიმუშო იქნება სხვა ახალგაზრდებისთვისაც, რომლებსაც სჭირდებათ მხარდაჭერა და თანადგომა.

უნდა მოიძებნოს ისეთი პასუხისმგებელი პირები (მონაზვნები, სემინარისტები, მღვდლები, საერო პირები), რომლებიც ახალგაზრდულ საბჭოსთან ერთად, ჩადგებიან ყველა ახალგაზრდის სამსახურში და თავიანთი გამოცდილებიდან მათ საინტერესო თემებსა და მოქმედების უფრო ფართო არეალს შესთავაზებენ.

ასევეა სხვა ეკლესიებთან ურთიერთობის დამყარების მხრივაც, რაც გამოიხატება მათთან საერთო ენის გამონახვის საშუალებით. საერთო ენის გამონახვისათვის კი საჭიროა მოსახლეობამ კარგად იცოდეს ქრისტიანობის ისტორია და კულტურა, ასევე, მისი გაყოფის მიზეზები და მასთან დაკავშირებული პრობლემებიც. ამ საკითხის გადაჭრაში დაგვეხმარება თეოლოგიის ინსტიტუტ „საბას“ პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან შეხვედრაც, რადგანაც იქ სხვადასხვა კონფესიის სტუდენტები სწავლობენ და მართლმადიდებელი პროფესორ-მასწავლებლები მოღვაწეობენ, მათ დიდი გამოცდილება აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობებისა და თანაცხოვრებისა.

კარგი იქნება თუკი მოეწეობა ახალი საინტერესო რელიგიური და მხატვრული წიგნების პრეზენტაციები, რაც ახალგაზრდებში მეტის გაგებისა და განათლებისა სურვილს აღძრავს, რაც, სამწუხაროდ უკანა პლანზეა გადაწეული.

ამგვარი შეხვედრები და ღონისძიებები აგრძნობინებს ახალგაზრდებს, რომ ისინი აინტერესებს ეკლესიას და მათ საწუხარსა და მათ სიხარულს იზიარებენ. ყოველივე ეს ახალგაზრდებს სულიერად ამადლებსაქენ უბიძგებს და კათოლიკე ეკლესიასაც მათი სახით საიმედო მომავალი ეყოლება

ლაშა მამულაშვილი
(წაკითხული სინოდის I სესიაზე)

მოხალისეები დაემდაბლდით ღმრთის ძლიერი ხელის ქვეშ

მარადიულო ღმერთო, ათასი წელი ხომ შენთვის გუშინდელი დღესავითაა. სწორედ გუშინდელ დღესავით გვეჩვენება მოხალისეებს სოფელ უდესა და ვალეში გატარებული 13 შრომატევადი დღე. თითოეულმა ჩვენგანმა დიდი სიყვარულითა და თავმდაბლობით მივიღეთ გამოწვევა „საქართველოს კარიტასისგან“, დავხმარებოდით ზემოთხსენებული სოფლების საკრებულოებს თავიანთი ეკლესიების გალამაზებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ვიყავით შეკრებილნი, ამ ორი კვირის განმავლობაში ვცხოვრობდით, როგორც ერთი დიდი ოჯახი, და ღორედანასა და მამა პავლესთან ერთად.

ერთი კვირა დავეყავით სოფელ უდესაში და, შეძლებისდაგვარად, გაგალამაზეთ და გავწმინდეთ ორივე საკრებულოს – სამლოცველო სახლისა და ეკლესიის ტერიტორია. ჩვენ უდელ ახალგაზრდებთან ერთად ვმუშაობდით. ამ პერიოდის განმავლობაში გარს გვეხვია ცნობისმოყვარე ბავშვების გუნდი, რომლებიც სიყვარულით გვეხვეოდნენ ირგვლივ და ხალისით ასრულებდნენ ყოველგვარ დავალებას.

უდედან ვალეში გადავინაცვლეთ და ადგილობრივ ახალგაზრდებთან ერთად მოვაწესრიგეთ ეკლესიისა და მღვდლების საცხოვრებელი სახლის ტერიტორია. ვალეში წინასაღმსახურად განწყობა სუფევდა, 8 სექტემბერი ვალეს ეკლესიის დღესასწაულია. სინოდის I სესიის დახურვაც ამ დღეს დაემთხვა (სესია დაიხურა ვალეში) და სოფელი საგანგებოდ ემზადებოდა ამისთვის. მით უმეტეს, რომ ბევრ სტუმრებს ელოდნენ.

ღმრთისმშობლის შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ წირვაზე მესხეთის სხვა საკრებულოებიდანაც მოვიდნენ მომლოცველები. საზეიმო წმიდა წირვა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ ადავლინა. წირვის დასასრულს მეუფემ საგანგებოდ მოიხსენია მოხალისეების ღვაწლი. მოხალისეების მუშაობა. ღმერთისა და კაცისთვისაც დიდად მარგია და სასახელო, – აღნიშნა ეპისკოპოსმა.

თითოეული მოხალისის სახელით დიდი მადლობა გვინდა გადაუხადოთ სურთა ღორედანასა და მამა პავლეს, იმ დიდი ყურადღებისათვის, რასაც ისინი იჩენდნენ ჩვენს მიმართ. მადლობა იმ ოჯახებს, რომლებმაც ამ დღეების მანძილზე გულთბილად გვიმასპინძლეს.

დავრწმუნდით, რომ ჩვენი ცხოვრება მინდვრის ყვავილის მსგავსია, რომელიც დილით ამოდის და ღამით ჭკნება.

მხოლოდ შენი მეშვეობით შევიცანით უფალო, რომ სიკეთენი, რაც ამ დღეებში მოხალისეებმა მივიღეთ, მხოლოდ შენი წყალობით მოდის.

მანანა ხელაძე
დიანა ბერულავა
ახალშენი

სარჩევი

რედაქციის გვერდი
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში
კათოლიკე ეკლესია საქართველოში
თეოლოგია
ეკუმენური გვერდი
სოციალური პრობლემები
სულიერება
სახელოვანი კათოლიკენი
პოეზიის სვეტი
ისტორიის ფურცლები
ახალგაზრდული გვერდი
საყმაწვილო გვერდი

საგანგებო ჩანართი:
სული წმიდის წინასწარმეტყველური ნიჭი

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვაია
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2006

სული წმიდის წინასწარმეტყველური ნიჭი

საგანგებო ჩანართი

ვინ არის ქრისტიანი? ვიდრე განვსაზღვრავდეთ, თუ ვინ არის კათოლიკე, მართლმადიდებელი, ან პროტესტანტი, მნიშვნელოვანია, ამ უმთავრეს კითხვას გავცეთ პასუხი: მარტივად რომ ვთქვათ, ქრისტიანია ის, ვისაც თავისუფლად და მთელი შეგნებით სწამს სული წმიდა, მამა ღმერთი შემქმნელი სამყაროსა და მხოლოდშობილი ძე მისი, კაცადქმნილი, მკვდარი და აღმდგარი ყოველი კაცის სიკვდილისა და ცოდვისაგან გამოსასყიდლად; ის არის, ვინც ნათლობის, მირონცხებისა და ზიარების მეშვეობით იქცა ღმრთის შვილად და ეკლესიის წევრად; ის არის, ვინც თავდაუზოგავად ცდილობს ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგოს სახარებისეული მცნებანი, მეტადრე, სიყვარულის სათნოება მოყვანისა და ღმრთის მიმართ; ვინც ცხოვრობს ეკლესიასთან, მის ტრადიციასთან და მწყემსებთან ზიარებაში, მისდევს სწავლებას და მითითებებს; ვინც საუკუნო ცხოვრების მომავლით ცხოვრობს და სასოობს, რომ სიკვდილის შემდეგ იხილავს უწმიდეს სამებას ქრისტეს მორწმუნეებთან და კეთილი ნების ყველა ადამიანთან ერთად, ვინც კი ღმერთმა ღირსყო თავისი სიახლოვისა. მაგრამ, როგორ შეიძლება იქცეს ჩვენი დროის ადამიანი ქრისტიანად, განსაკუთრებით კი, ქრისტიანულად იცხოვროს და აღესრულოს. კითხვა იქიდან იბადება, რომ რაც არ უნდა გონიერი იყოს ადამიანი, არ შეუძლია თავისი ძალებით ირწმუნოს, იცხოვროს და მოკვდეს ქრისტიანად. რა თქმა უნდა, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე ადამიანს შესწევს უნარი თავისი გონებით მივიდეს ღმრთის შეცნობამდე, მაგრამ ღმერთი უსასრულოდ რჩება იმ წარმოდგენის მიღმა, რაც ადამიანს შეიძლება მასზე ჰქონდეს. ადამიანს, საკუთარი გონებისა და სინდისის კარნახით შეუძლია თესოს სიკეთე, მაგრამ იგი საკუთარ თავში ამჩნევს ბოროტსაც, რასაც საკუთარი ძალებით ვერ უმკლავდება. ამდენად, კიდევ რომ ცნობდეს სიკეთეს და წყურდეს სიკეთის თესვა, ბოროტების ქვეშ იმდენად ექცევა, რომ მისი დაბინდული გული და გონება უძლურია სიკეთისაგან განარჩიოს ბოროტი, თვითმარქვიასგან ჭეშმარიტი. ცხადია, ადამიანს ძალუძს პირისპირ შეხვდეს სიკვდილს და ისტორიაში ამის მრავალი მაგალითი არსებობს, მაგრამ იგი ვერ შეეგუება სიკვდილის უაზრობას, რადგან ადამიანის გონებისთვის ყოველთვის მიუღებელია სიკვდილი. თუკი ადამიანის სიცოცხლე უაზროა, შეიძლება თუ არა მისი სიკვდილიც იყოს უაზრო? როგორ შეუძლია ქრისტიანს ქრისტიანულად იცხოვროს და მოკვდეს? ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ ღმრთის გამორჩეული წყალობით. ეს სულაც არ გახლავთ ისეთი წყალობა, ლამის მეტოქედ და უცხოდ რომ ქცეულა ადამიანისთვის, ეს ყოველ ქრისტიანზე გაღებული ღმრთის პიროვნული მადლია, უფრო ზუსტად, სული წმიდის ღმრთაებრივი პირი, და ეს არის შემოქმედი და დასაბამი ქრისტიანული ცხოვრებისა: ქრისტიანად ქცევის, ქრისტიანულად ცხოვრებისა და სიკვდილის. თუ ქრისტიანი ვარ, ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება როდია, ან ჩემი ერის, რომელიც მართლმადიდებელია, ან ჩემი ოჯახის, ეს სული წმიდის მადლის წყალობითაა. უამი, რომელშიც ქრისტიანებს უწევთ ცხოვრება, სული წმიდის უამია და იგი მანამ გასტანს, სანამ ქრისტე ყველაში ყველაფერი არ გახდება.

აღბათ, მაგანი იკითხავს, რატომ არის სული წმიდა ჩემი ქრისტიანული ცხოვრების შემოქმედი? ამისათვის უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რასაც სული წმიდა ისტორიაში აღასრულებს, ერთის მხრივ, სამივე ღმრთაებრივი პირის ნამოქმედარია, ხოლო მეორეს მხრივ, ერთ რომელიმე ღმრთაებრივ პირს განეკუთვნება. ქმედება, რასაც სული წმიდა ისტორიაში აღასრულებს,

უწინარესად, *შესაქმეა* – წუთისოფლის შექმნა და ადამიანის შექმნა, ანუ ადამიანის სულიერი დასაბამის, რომელიც არ წარმოდგება მატერიიდან და ადამიანიდან. მეორე ქმედება, რასაც სული წმიდა აღასრულებს, დასაბამითვე კაცთა ისტორიაში ჩაფიქრებული და აღსრულებული *ადამიანის ცხონებაა* – აბრაამის, ებრაელთა და მუსულმანთა რწმენის მამამთავრის მოწოდება, ებრაელი ერის არჩევა, იესოს განხორცილება, სიკვდილი და აღდგომა, სული წმიდის წარმოგზავნა, ეკლესიის დაარსება და მოქმედება. ეს მთლიანობაში არის სამების ნამოქმედარი, რამეთუ წმ. აგუსტინე წერს: “სამების საქმენი გაუთიშავნი არიან”. თანადროულად ეს საქმენი თითოეულ ღმრთაებრივ პირს ეკუთვნიან, არა იმ კუთხით, რომ რომელიმე ღმრთაებრივ პირზე მიკუთვნებული სხვებს გამორიცხავს, არამედ იმ კუთხით, რომ თვისობრივად მსგავსებაში მოდიან, რაც ასე ახასიათებს და გამოარჩევს ერთმანეთისაგან ღმრთაებრივ პირებს. თუკი დიდ თეოლოგს წმ. თომა აქვინელს მოვიშველიებთ, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ წუთისოფლის შექმნა, - რამდენადაც ზეადმატებული საქმე, - მამას მიეკუთვნება, რომელიც *მრწამს*-ში წოდებულია *შემოქმედი ცისა და მიწისა*, თუმცა ეს საქმე მთლიანობაშია სამების კუთვნილება, ისევე როგორც ადამიანთა ცხონება, რაც ცალსახად მიეკუთვნება ღმრთის ძეს, ხოლო განწმენდა – სული წმიდას, რამდენადაც სული წმიდა მამის და ძის სიყვარულია, მამისა და ძის მიერ ადამიანებზე მინიჭებული მადლია. მართლაც, სული წმიდის მადლით ღმრთის სიყვარული ჩვენში იჭრება და თავის შვილებად გვაქცევს: *“ვინაიდან ღმრთის სიყვარული ჩაგვებსა გულებში სული წმიდის საშუალებით, რომელიც მოგვეცა ჩვენ”* (რომ. 5,5).

რასაკვირველია, მიკუთვნებამ ჩრდილში არ უნდა მოაქციოს ის ფაქტი, რომ ყოველივე “მოდის მამისაგან მხოლოდშობილის ძის მეოხებით სული წმიდაში” და ყოველივე მიდის “მამასთან სული წმიდის მეშვეობით”, ასე წერდა წმ. ათანასე: *“მამაში ყოველივე სიტყვის მიერ იქმნება სული წმიდაში, ამ გზით დაცულია წმიდა სამება – მადლი და წყალობა, სამებაში ჩადებული, რომელიც მამისაგან მიენიჭება ძის მიერ სული წმიდაში. და როგორც წყალობა მოდის მამისაგან ძის მეშვეობით, ასევე ვერ იქნება ჩვენში მადლი, თუ არა სული წმიდით, რადგანაც სული წმიდაში მონაწილეობით გვეძლევა სიყვარული მამისა, მადლი ძისა და მოზიარეობა სული წმიდისთან”*. წმ. გრიგორ ნოსელი დასძენდა: *“ყველა მოქმედი ძალა, რომელიც ღმრთისაგან მოდის ქმნილებაში შესაღწევად, მამისაგან მოდის, გაივლის ძეს და სისრულეში მოდის სული წმიდაში; ამიტომაც ერთი მოქმედი ძალა რამდენიმე მოქმედ ძალად ვერ დაიყოფა, რამეთუ ღვაწლი, რაც თითოეულს მასზე აქვს, არც ინდივიდუალურია და არც გათიშული”*.

ასეა თუ ისე, უწმიდესი სამების გაუთიშავი ერთიანობა, როგორც სამყაროს შექმნის ასევე ადამიანთა ცხონების საქმეში, არ უნდა აბრკოლებდეს უწმინდესი სამების საქმეთა “მიკუთვნებას” ამა თუ იმ ღმრთაებრივ პირზე, ცალკეული პირის განმასხვავებელი და გამორჩეული თვისობრიობის მიხედვით. წმ. თომა აქვინელი დასძენს: *“სული წმიდა ჩვენ ღმრთის შვილებად გვსახავს, რამეთუ ის თავად არის ძის სული; ლოგიკურია, რომ სული წმიდას მიეკუთვნება ღმრთის შვილობრიობა, როგორც წმინდა პავლე ამბობდა, მიიღეთ შვილობის სული, რომელშიც ვიძახით: მამაო!”. წმიდა პავლე სული წმიდას ქარიზმებს მიაკუთვნებდა, ღმრთისმსახურებას – უფალ იესოს და “საქმეებს” მამადმერთს, რომელიც ყველაფერს აღასრულებს ყველაფერში (შდრ. 1კორ 12, 4-6). ამით იმის*

თქმა სურდა, რომ სწორედ სული წმიდა ანაწილებს ქარიზმას, თავად ძე მიუძღვის ეკლესიას მსახურების გზით, და რომ მამადმერთი ასრულებს ცხოვნების სასწაულებრივ საქმეებს. ისევ წმ. პავლე მიაკუთვნებს “სიყვარულს”- ალაკებს მამას, “წყალობას”- ქარის – უფალ იესოს, ხოლო “ზიარებას”-კოინონია სული წმიდას. დიას, სული წმიდაში ვეზიარებით მამას და ძეს, ხოლო ჩვენი მოზიარება სული წმიდასთან, რომელიც არის სული მამისა და სული ძისა, ჩვენ გვაქცევს მამის შვილებად და ასე ვედარებით ღმრთის ძეს. სწორედ სული წმიდა გვადარებს იესოსთან, მის ცხოვრებასთან და მის სიკვდილთან, თავისი მადლის და თავისი ძეობრივი სულის მონიჭებით.

დასასრულ, ქრისტიანული სიწმინდე სამების ნამოქმდარია, მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ მთელი ქრისტიანული ცხოვრება სული წმიდის ზეგავლენაშია, ამიტომაც, ქრისტიანული ცხოვრება არის “ცხოვრება სულში”, რომელიც მოგვენიჭა.

პირველი ნაბიჯი, რასაც ადამიანი ქრისტიანულ ცხოვრებაში ან სული წმიდაში ასრულებს *სარწმუნოების აქტია*, რითაც აღიარებს, რომ იესო ნაზარეველი არის უფალი ანუ კაცადქმნილი ძე ღმრთისა, კაცთა შორის ჭეშმარიტ კაცად მცხოვრები, ავგუსტისა და ტიბერიუსის მეფობის ჟამს, პონტოელი პილატეს მიერ სიკვდილით დასჯილი კაცთა სახსნელად, აღმდგარი მესამესა დღესა და ამადლებული ზეცად, სადაც ზის მარჯვენით მამისა, ვითარცა მეუფე სამყაროსა, საიდანაც მოვა ჟამთა სისრულეში მართალთა და ცოდვილთა განსასჯელად. სარწმუნოების ეს აქტი ერთგვარ სირთულესაც კი ქმნის, როგორც ისტორიული (*სახარებებში სხვადასხვა ვერსიებია იესოს ცხოვრებაზე, სიკვდილსა და აღდგომაზე*), ასევე ფილოსოფიური (*როგორ შეიძლება იფიქრო ღმერთზე, რომელიც შეიძლება მომაკვდავი იყოს*) და ფსიქოლოგიური (*როგორ შეიძლება საკუთარი ცხოვრება მეორე ადამიანის სიტყვაზე აავო*) მიმდევრობით.

რეალურად, ვინც სარწმუნოების ამ აქტს ასრულებს, მანვე უნდა მიიღოს ეს *უგუნური* წინადადება; მიიღოს ქრისტე საკუთარ ცხოვრებაში როგორც გზა, სიცოცხლე და ჭეშმარიტება; ეს კი შეუძლებელია სული წმიდის მადლის გარეშე. წმ. პავლე ამბობს: “*ვერავინ, ვინც ღმრთის სულით ლაპარაკობს ვერ იტყვის შეჩვენებულიაო იესო, და არავის შეუძლია უფალი უწოდოს იესოს თუ არა სული წმიდით*” (*1კორ,12, 3*). ამტკიცო ის რომ იესო არის უფალი – *კირიოს*, იგივეა თქვა, რომ იესო არის ღმერთი, ვინაიდან ტერმინით *უფალი* (ებრ. *ადონაი*), *ძველი აღთქმა* ღმერთს მიანიშნებს. ამდენად, რწმენის ხანგრძლივ გზაზე, სული წმიდა განწმენდს ადამიანს ცოდვისაგან, რასაც დამონებული ჰყავს იგი და ღმერთთან შემობრუნების ძალას აძლევს; გონებას უსხივოსნებს, რათა შეამჩნიოს თავისივე თავში ჩამარსული ამპარტავნობა; და ბოლოს, ამოქმედებს ნებას, რომ თავისუფლად მიიღოს მამის მოწვევა, რაც შინაგანად იზიდავს მას, იგი მთელი არსებით ენდობა იესოს. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სული წმიდა, - რელიგიური საუბრების თუ რელიგიური წიგნების კითხვა-მოსმენისას, ქრისტიანული სიყვარულის დამოწმებისას, თვით განსაცდელის ჟამს, - ადამიანს შეეწევა რელიგიურ საკითხში; სული წმიდა გონებას ანათებს, ეხმარება რწმენის წინააღმდეგ აღძრული ქვენა გრძნობების დაძლევას, ან რელიგიური პირებიდან წამოსული მღელვარების დაოკებას; და ბოლოს, სული წმიდა გულს უხსნის ადამიანს, რომ მამის მოწოდება თავმდაბლობით მიიღოს: ირწმუნოს იესო და მიენდოს მის სიტყვას. ასეთი მოთმინებითა და სატკბოებით მიჰყავს სული წმიდას

ადამიანი რწმენამდე, მისი თავისუფლების პატივისცემით, რადგანაც, მართალია, სული აღძრავს ადამიანის ნებას, მაგრამ არა იძულებით, ადამიანის სარწმუნოების აქტი ყოველთვის თავისუფალ ნაბიჯად რჩება.

რწმენის აქტს, ჩვეულებრივ, მოჰყვება ნათლობა, რომელსაც ოთხმაგი ეფექტი გააჩნია: განწმენდს ადამიანს თავდაპირველი და ყველა ამჟამინდელი ცოდვებისაგან; აქცევს ჭეშმარიტ ღმრთის ძედ და იმდენად აზიარებს ღმრთაებრივ ბუნებას, რომ ღმერთს შეუძლია უწოდოს მამა; მჭიდროდ აკავშირებს მკვდარ და აღმდგარ ქრისტესთან, აზიარებს მის ცხოვრებასთან, შეჰყავს რა ქრისტეს სხეულში და მისი მეშვეობით ეკლესიის ხილვად წევრად აქცევს და ანიჭებს წმინდა საიდუმლოებს, რათა მთელს წუთისოფელში ამოწმოს ქრისტე. ამიტომაც ითვლება, რომ ნათლობა არის *ახალი შობა*, ხოლო მონათლული იქცევა *ახალ ქმნილებად* (2კორ.5,17).

როგორ ხდება ნათლობით ხელახლა შობა? იესო ეუბნება ნიკოდემუსს: *“ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნები შენ, ვინც წყლისა და სულისგან არ იშვება, ვერ შევა ღმრთის სასუფეველში”* (იოან.3,5). მაშასადამე, სული წმიდით, რომელიც წყლის ნიშნით აღასრულებს ხელახლა შობას. ნათლობაში ღრმა კავშირია წყალსა და სულს შორის. აი როგორ განმარტავს ამას წმ. ბასილი: *“წყალი სიკვდილის სურათს იძლევა, როგორც სამარხში; სული მაცოცხლებელ ძალას ჰყენს და განაახლებს ჩვენს ცხოვრებას ცოდვის სიკვდილის მდგომარეობიდან თავდაპირველ მდგომარეობამდე. სწორედ ეს ნიშნავს ზეციურ ახალ შობას: წყალითა და სული წმიდით; წყალში ვკვდებით, მაგრამ ვიბადებით სული წმიდაში”*. იმავეს ამბობდა წმ. ამბროსი მედიოლანელი: *“წყალი სიკვდილს ასახავს, სული წმიდა - სიცოცხლეს. წყალში კვდება ცოდვილი სხეული, რომელშიც ისეა ჩაკეტილი, როგორც სამარხში, სულის წყალობით ვთავისუფლდებით ცოდვის სიკვდილიდან. მაშასადამე, თუკი წყალში არის მადლი, იგი გამოდის არა წყლიდან, არამედ სული წმიდიდან”*. სული წმიდის გამორჩეული საქმე - ახლად შობა, მეტწილად იმაში მდგომარეობს, რომ სული წმიდა კათაკმეველში მოჰყენს თეოლოგიურ სიქველეთ: რწმენას, იმედსა და სიყვარულს. ეს ახალი ცხოვრებისეული პრინციპებია, შეიძლება იცხოვრო და იღვაწო სული წმიდის რწმენით იმედსა და სიყვარულში და ამ გზით შეიძლება იქცე სამების სამკვიდროდ. იესო ამბობს: *“ვისაც ეუყვარვარ ის ჩემს სიტყვას დაიცავს და მამა ჩემიც შეიყვარებს მას და ჩვენც მივალთ და მასთან დავიდებთ საგანეს”* (იოან. 14,23). სიყვარული, რითაც ქრისტიანს იესო უყვარს, იგივე მოზიარეობაა, რაც მამას გააჩნია იესოს მოწაფეთადმი, ვისზეც მოჰყენს თავის სულს. შემდეგს წერდა წმ. ავგუსტინე: *“ღმრთისაგან წამოსული სიყვარული, უწინარესად, არის სული წმიდა, რომლის მეოხებით ჩვენს გულებს ეფინება სიყვარული ღმრთისა, ვისი წყალობითაც ჩვენში მთლიანად მევიდრობს სამება”*. და ბოლოს, ნათლობაში სული წმიდა თავის ბეჭედს სვამს, რაც ნიშნავს მონათლულის მიკუთვნებას ქრისტეზე და საბოლოო ცხოვრების საწინდარს: *“ქრისტეში ხართ თქვენც, ვინც მოისმინეთ ჭეშმარიტების სიტყვა, თქვენი ხსნის სახარება. იწამეთ იგი და დაიბეჭდეთ აღთქმული სული წმიდით, რომელიც ჩვენი მემკვიდრეობის საწინდარია, საკუთრებით გამოსასყიდად მისი დიდების საქებლად”* (ეფ. 1,13-14). *“ნუ დაანადგვლიანებთ ღმრთის სული წმიდას, რომლითაც დაიბეჭდეთ თქვენ გამოსასყიდის დღისათვის”* (ეფ. 4,30). წმ. ამბროსი მილანელი აცხადებდა: *“ამრიგად, ბეჭედდასმულნი ვართ ღმრთის სულით, და როგორც ქრისტეში*

გვერდებით ხელახლა საშობლად, ასევე დავიბეჭდეთ სული წმიდით, რათა მივადწიოთ ბრწინვალებას, სახებას და წყალობას, რომელიც უდაოდ არის ბეჭედი. მართალია, ჩვენ გარეგნულად სხეულით დავინიშნეთ, სინამდვილეში გულში ვართ დანიშნულნი, რამეთუ სული წმიდა ჩვენში ძერწავს ზეციერი ადამიანის ნაკვთებს”. III საუკუნის რომაელი ხუცესი ნოვაციანი წერს: “სული წმიდით ხდება ღმრთაებრივი მოდგმის თესლის მეორედ შობა, სული წმიდა განწმენდს ზეციურ შობას, აღთქმული მიწის წინდს, იგი მარადიულ ხსნას ამოჰკვეთს; სული გვაქცევს ღმრთის ტაძრად და მის მემკვიდრედ; იგი სიწმინდის შემოქმედად ბინადრობს ჩვენს გულებში. ასე მივეყვართ ჩვენს გულებში მოქმედ სულს უკვდავების აღდგომისაკენ”. სული წმიდის მადლი, ანუ ქრისტეზე ჩვენი მიკუთვნება ხორციელდება როგორც რწმენის აზრით, ასევე ნათლობის საიდუმლოში ჩვენი ხელახლა შობით, “რწმენა და ნათლობა განუყოფლად არიან დაკავშირებული. თუკი რწმენა თავის სრულყოფას იძენს ნათლობიდან, ნათლობა, თავის მხრივ, რწმენას ემყარება” (წმ. ბასილი). მაგრამ თავისთავად ნათლობა, რომელიც რწმენას სრულყოფს, ვერ აქცევს მონათლულს სრულყოფილ ქრისტიანად, რამეთუ სრულყოფილება მიიღწევა შემდეგი ორი საიდუმლოთი – კონფირმაციით, ანუ მირონცხებით და ევქარისტით. ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ნათლობა არასრული და არასრულყოფილი საკრამენტია, პირიქით, ნათლობა ყოველივე მათ მადლს ცხეებს. ამით მხოლოდ ის იგულისხმება, რომ კონფირმაციას და ევქარისტიას სრულყოფილებაში მოჰყავს არა იმდენად ნათლობა, არამედ ქრისტიანული ინიციაცია, რომლის პირველი საფეხურიც გახლავთ ნათლობა. მთავარია, ნათლობის საკრამენტი ქრისტიანული სრულყოფილების ამ გზაზე მოთავსდეს. ტერმინი “ინიციაცია” ფართოდ არის დამკვიდრებული მხატვრობაში, მუსიკაში, რელიგიაში და საუბრობს მასზე, ვინც შეუდგა მომზადებას, ვისაც შეუძლია ჩაწვდეს ხატვის, მუსიკის თუ რელიგიის საწყისს ასევეა მონათლულიც, იგი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ ქრისტიანულ რწმენაში. ქრისტიანული ინიციაციის ამ გზაზე მოგვეპოვება იერუსალემის ეპისკოპოსის, წმ. კირილეს (†386წ) და წმ. ამბროსი მედიოლანელის (†397წ) ბრწინვალე მისტაგოგიური კატეხიზმო. კათაკმეველები თანდათანობით ეწაფებოდნენ ღმრთისაგან გაცხადებულ ქრისტიანულ საიდუმლოებებს, “სარწმუნოების სიმბოლოს” გადაცემით, ქრისტიანული ლოცვის “მამო ჩვენოს” სწავლებით; მხოლოდ მონათელის შემდეგ უშვებდნენ მათზე დანარჩენ ორ საიდუმლოს, ამიტომაც წარმოადგენენ ისინი მწვერვალს და სრულყოფილებას ქრისტიანად მოქცევაში. ამრიგად, სრულყოფილი ქრისტიანია ის, ვინც ეზიარება წმიდა ევქარისტიას. პიროვნება სრულყოფილ ქრისტიანად ვერ ჩაითვლება მხოლოდ იმიტომ რომ მონათლულია. სამივე საკრამენტი – ნათლობა, მირონცხება და ევქარისტია – ქმნის არა ერთადერთ საიდუმლოს, არამედ გაუთიშავ ერთიანობას. და ეს არის ერთადერთი გზა, თავისი განსხვავებულ საფეხურებით. აღმოსავლური წესის როგორც მართლმადიდებელ და ასევე კათოლიკე ეკლესიაში, ნათლობა, კონფირმაცია და ევქარისტია გაიცემა ბავშვებზეც. ლათინური წესის ეკლესიაში ამ საიდუმლოთა აღსრულება დროში განსხვავდება, მიუხედავად იმისა, რომ დიდების ნათლობა კათაკმეველებისგან ითხოვს სამივე საკრამენტის ერთსა და იმავე დროს მიღებას. ერთი შეხედვით ჩანს, რომ აღმოსავლური წესის მართლმადიდებელ და აღმოსავლური წესის კათოლიკე ეკლესიას საერთო შეხება აქვთ ძველ ტრადიციასთან, ლათინური წესის ეკლესია

კი თითქოს ამ ტრადიციას დაშორდა, სამივე საიდუმლო დროში განაღება და შეცვალა საკრამენტების მიმდევრობაც – ნათლობა, მირონცხება და ევქარისტია. თუმცა გარეგანი ცვლილების მიღმა, ყველა ეკლესია უნდა აღმოაჩინდეს ქრისტიანად ქცევის საზრისს რწმენის და საკრამენტთა აღსრულების გზით.

ქრისტიანული ინიციაციის ამ გზაზე რომელია მირონცხების საიდუმლოს სპეციფიკური თვისება და საკუთრივ წყალობა? რა განსხვავებაა ნათლობასა და მირონცხებაში? რადგანაც წარსულში ნათლობა და მირონცხება ერთად სულდებოდა და მიმსგავსებული წესით, პირველქამინდელი ქრისტიანებისათვის ყოველთვის გასაგები არ იყო ამ ორი საკრამენტის თვისებები, მით უფრო როდესაც აუწყებდნენ, რომ ნათლობაცა და მირონცხებაც სული წმიდასთან აზიარებდა მათ. თუკი ამ ორ საკრამენტს შორის განსხვავების გაგება გვსურს, განსაკუთრებით კი, მირონცხების სპეციფიკურობის, უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა ქრისტიანულ საკრამენტს გააჩნია საერთო ასპექტები და ამავედროულად, საკუთარი თვისობრიობაც. შვიდივე საკრამენტი ქრისტეს მიერ დაარსდა, მათგან მხოლოდ ევქარისტია გახლავთ სრული მოსაგონარი ქრისტეს პასექისა, ანუ მისი სიკვდილისა, აღდგომისა და ზეცად ამაღლებისა. ყველა საიდუმლო შეიცავს წყალობას, თანაც ყველა მათგანი თავისებურად და იმ წყალობიდან, რასაც გასცემს. ყველა საიდუმლოში აღიძვრის სული წმიდა, მაგრამ შეიძლება რომელიმე ერთი ღმრთაებრივი პირი მეტი მხურვალეობით აღიძვროდეს, გამომდინარე თავისი თვისებიდან და იმ გამორჩეული ადგილიდან, რასაც იკავებს კაცთა მაცხოვრებელ ისტორიაში. ყველა საიდუმლო მოიცავს ქრისტეს და მის საპასეჟო საიდუმლოს, მაგრამ ყველა როდი სრულდება თანაბრად. საკრამენტებს საერთო შეხება აქვთ ერთიმეორესთან, მაგრამ მრავალია განმასხვავებელი ნიშანი. ასპექტი, რითაც მირონცხება ნათლობიდან გამოირჩევა, გახლავთ სული წმიდის საკრამენტი, ანუ სული წმიდის წინასწარმეტყველი ნიჭი. ამიტომაც, მირონცხება ეყრდნობა სულის იმ ცხებულებას, რაც იესომ მიიღო იორდანეში ნათლობისას, მეტი მხურვალეობით სულთმოფენობაზე გარდამოსული. ნათლობა გამორჩეულად უკავშირდება იესოს სიკვდილსა და აღდგომას, რადგანაც ვინც ინათლება იესოსთან კვდება ცოდვებში და მასში აღდგება ღმრთის ახალ შვილად. მირონცხების საიდუმლო საკრამენტულ ფორმას და ნაყოფიერებას აძლევს მდ. იორდანეში იესოზე სული წმიდის გარდამოსვლის და პირველქამინდელ ეკლესიაზე სულთმოფენობის მოვლენას. ამიტომაც, საკრამენტული ნიშნებით – ხელდასხმისა და წმიდა მირონის ცხებით, მონათლულები ყველგან და ყოველთვის ეზიარებიან იმ სულს, რომელიც იესოზე გადმოვიდა და სულთმოფენობის დღეს პირველ ქრისტიანებს მოეფინა. ხელდასხმისა და წმიდა მირონის მეშვეობით მონათლულები წყალობის იმავე ნაყოფით სარგებლობენ, რასაც ეზიარა იესო და პირველი ქრისტიანული საკრებულო. როგორც იესო, სული წმიდით აღვსებული, შეუდგა თავის მისიას და როგორც პირველი მოციქულები, სულთმოფენობის შემდეგ დაიწყეს თავიანთი მისიის შესრულება, ასევე შეუძლია ყველა მირონცხებულ მონათლულს თავისი მისიის შესრულება. იესო, ვიდრე ზეცად ამაღლდებოდა, თქვა: *“თქვენ მიიღებთ ძალას, როდესაც გადმოვა სული წმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი...”* (საქ.1,8). სწორედ ეს დაპირება ისხამს ხორცს სულთმოფენობის დღეს და მირონცხების საკრამენტში. იესომ კარგად უწყის თავისი მოწაფეების უსუსურობა და სისუსტე – თავისქამინდელის თუ ამქამინდელის, - ისიც უწყოდა, რომ ძალა სული წმიდის ძლიერი მოფენით

მოდით და რომ მოწაფეები მარტონი ვერ შეასრულებდნენ მისიას და ვერ დაამოწმებდნენ მთელს წუთისოფელში. აი, რატომაც აქვს მირონცხებაში სული წმიდის მადლს “წინასწარმეტყველური” ნიჭი, ანუ სამოციქულო და მისიონერული. ამიტომაც, მირონცხება არის ის საკრამენტი, რომელიც სულიერად ამტკიცებს მონათლულს, რათა წუთისოფელში იესოს წინასწარმეტყველური მისია შეასრულოს, დაამოწმოს და მისი სახარების აუწყოს საკუთარი სიტყვით, საქმით, რწმენითა და სიყვარულით, თვით მოწამებრივ სიცოცხლემდე.

ყოველივე აქედან, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მირონცხება სრულყოფს ნათლობას; თუკი ნათლობის მეშვეობით ადამიანი ხდება ღმრთის შვილი, ახალი ქმნილება, ეკლესიის წევრი... მირონცხებით მონათლული ხდება იესოს აქტიური მოწმე, მოხმობილია სახარების გასავრცელებლად და ეკლესიის ასაგებად. ბუნებრივია, მირონცხების საიდუმლოში სული წმიდის გამორჩეული მადლის საჩვენებლად, უკანა ადგილზე არ უნდა გადავიდეს სული წმიდის ის მადლი, რაც ნათლობაში მიენიჭა განწმენდის მიზნით. სული წმიდით ქრისტიანი განიწმინდება, ანუ ქრისტეს სადარი ხდება, იესოს საიდუმლოში შედის, მისი ცხოვრების მოწილე ხდება. მოვლენები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, პირიქით, უფრო ღრმავდებიან; სული წმიდა განწმენდს ნათლობას, სული წმიდა ამტკიცებს მირონცხებას, რათა “*მივალწევდეთ... ღმრთის ძის შემეცნებას სრულქმნილ კაცად, ქრისტეს სრული ასაკის ზომას... ჭეშმარიტების სიყვარულით მოქმელნი ყველაფერში ვიზრდებოდეთ მის მიმართ, ვინც არის თავი ქრისტე*“ (ეფ. 4, 13.15).

აღმოსავლურ და ლათინურ ეკლესიაში მირონცხების საიდუმლოს გაცემის დრო და ფორმა განსხვავებულია. აღმოსავლურში, იქნება კათოლიკე თუ მართლმადიდებელი ეკლესია, ნათლობასთან და პირველ ზიარებასთან ერთად გაიცემა; სამივე საკრამენტის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, V საუკუნემდე ლათინურ ეკლესიაშიც ერთად სრულდებოდა ნათლობა და მირონცხება, მოგვიანებით მოხდა მათი დაშორება. თუკი აღმოსავლეთში მირონის გაცემა ხუცესსაც შეუძლია, დასავლეთში ეს მხოლოდ ეპისკოპოსის უფლებაში შედის. ქრისტიანობის მასიურმა გავრცელებამ შეუძლებელი გახადა, რომ ეპისკოპოსს ყველა ნათლობა და მირონცხება ერთდროულად გაეცა; ალბათ ესეც გახდა ერთ-ერთი მიზეზი ამ ორი საკრამენტის დროში დაშორებისა. XIII საუკუნეში, უკვე სრულიად გაქრისტიანებულ სამყაროში, ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ამ საიდუმლოს გაცემა შვიდი წლის მოზარდებზე. იგი საყოველთაო პრაქტიკად იქცა XVI საუკუნეში ტრიდენტის კრების შემდეგ, რამაც შესაძლებელი გახადა მისი გადაწევა თორმეტ წლამდე. უფრო მოგვიანებით, საფრანგეთსა და გერმანიაში, ფიქრობდნენ თოთხმეტ წლამდე გადაეწიათ, ანუ უფრო შეგნებულ ასაკამდე. მირონცხების ამგვარმა გადანაცვლებამ, პირველი ზიარების ნაადრევად მიღება მოიტანა. კანონიკური სამართლის კოდექსმა 1917 წელს დაადგინა შვიდი წელი მირონცხების საიდუმლოს მისაღებად. აქტუალური კოდექსი ამბობს, რომ “*მირონცხების საკრამენტი მორწმუნეებზე შეგნებულ ასაკში გაიცემა, გარდა იმ გამონაკლისისა, თუ საეპისკოპოსო კონფერენცია დაადგენს სიკვდილის საშიშროებას, ანდა მძიმე მიზეზის გამო ღმრთისმსახურის აზრი განსხვავებულად უკარნახებს*“ (891). თუმცა ძირითადი განსხვავება ეკლესიათა შორის მირონცხების აღსრულების ფორმაში მდგომარეობს. მირონის ცხებას, ანუ შუბლზე და სხეულის სხვა ნაწილებზე მირონის (ეპისკოპოსის მიერ ნაკურთხი ნელსაცხებელი) წასმას,

მამისადმი აღვლენილი ღოცვის თანხლებით, მიმართავენ ბერძნულ-ბიზანტიური, სომხური, ასირიულ-ანტიოქიური, კოპტური და ეთიოპიური ეკლესიები. ხელდასხმას ვხვდებით მხოლოდ ნესტორიულ, კოპტურ და ეთიოპურ ეკლესიაში; ლათინურ ეკლესიაში მირონცხების წესის ისტორია გაცილებით კომპლექსურია. აქ ნელ-ნელა ქრება ხელდასხმა და წინ გადმოდის მირონის ცხება ჯვრის გამოსახვით. 1971 წლამდე მირონცხება ხდებოდა ამ სიტყვებით: *“გარდაგსახავ ჯვარს და განიჭებ მირონით ხსნას, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ”*. დღეს ლათინურ ეკლესიაში მირონცხება გულისხმობს ხელდასხმას და მირონის ცხებას. პაპმა პავლე VI-მ დაადგინა, რომ *“მირონცხების საიდუმლო მიენიჭოს მირონის ცხებით შუბლზე, რომელიც შესრულდება ხელდასხმით და სიტყვების თანხლებით: “მიიღე ბეჭედი სულისა წმიდისა, რომელიც მოგენიჭა შენ”*. ამგვარად, მირონცხების საკრამენტის ნიშანმა ახალი ღირსება შეიძინა, რომელიც ნათელს ფენს სული წმიდის წინასწარმეტყველურ ნიჭს, ნიჭი, რომელიც შეეწევა და აღძრავს მონათლულ ადამიანს წუთისოფელში ქრისტეს სამოწმებლად. ლათინურ ეკლესიაში ჯერ კიდევ გადასახედიან, ეს საიდუმლო ევქარისტიაზე შესრულდეს თუ შემდეგ. გაუთიშავი ეკლესიის ტრადიცია ამბობს, რომ უნდა გაიცეს ევქარისტიაზე. ამჟამად ლათინური ეკლესიის თეოლოგები და მწყემსები ამ საკითხით არიან დაკავებულნი და მხედველობაში იღებენ მრავალ ეკუმენურ დოკუმენტს ამ სამი საკრამენტის – ნათლობა, მირონცხება და ევქარისტია – უძველესის წესის თანმიმდევრობაზე: ამისათვის საჭიროა ევქარისტის ცენტრალური ადგილი აღმოვაჩინოთ ქრისტიანის ცხოვრებაში. ქრისტემ მიიღო სული წმიდა თავისი მისიის აღსასრულებლად, რომელიც მას პასექამდე მიიყვანდა; პირველმა ქრისტიანულმა საკრებულომ მიიღო სული წმიდა, რათა ეუწყებინათ სახარება და სიკვდილი და აღდგომა უფლის მოსვლამდე, ასევე იღებს მონათლული სული წმიდის წინასწარმეტყველურ ნიჭს უფლის დასამოწმებლად და წმიდა ევქარისტიაში მასთან ერთ ხორცად იქცევა.

მამა გაბრიელ ბრავანტინი